# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ქრთამით ხეირის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 28 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 240 (6340)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ყველაზე დიდთანხიანი პრემია საქართველოში

### სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემია „დავით აღმაშენებელი“



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, ითვალისწინებს რა სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის — „დავით აღმაშენებლის“ დაარსების დიდ ეროვნულ-კულტურულ მნიშვნელობას, დღეს სრულად აქვეყნებს პრემიის დებულებას, რათა კონკურსს მეტი საჯაროობა მიენიჭოს და მასში მონაწილეობა მიიღოს ჩვენი საზოგადოების რაც შეიძლება დიდმა ნაწილმა.

6–7



2

## „ნაცმოძრაობა გესტაპოსა და ჩეკას ნაზავია“

## ბურჯანაძის მოძრაობა მერობის ოპოზიციონერ კანდიდატს დაუჭერს მხარს

3



## SOS!



## „წუხელის ბიჭი დაბადებულა!..“

ახლა საქართველოში შვილის ყოლას მხოლოდ ახალი ქართველები, მდიდრები ან მთავრობის ხალხი და პარლამენტარები თუ ისურვებენ. მშობიარობისთვის გადასახდელად სულ ცოტა 1500-2000 ლარი ჯიბეში თუ არ გიჩყავის, ბავშვს სამშობიაროდან ვერ გამოიყვან.

გიხაროდენ! მალე ეს ქვეყანა მხოლოდ მდიდრებისა იქნება...

4

## აფხაზეთითა და სამხრეთ ოსეთით ვაჭრობა?

3

## როგორ მოიპარეს მილიონები, ანუ ვინ ხრავდა სფფ თანხებს

11





- ისევ დაუდგმელი ძეგლის შესახებ
- ბატონი გოგი დოლიძის „ღია წერილების“ პასუხად
- სულიერების ამაღლების ერთი წელი

8–9





5

## კიდევ ერთხელ ივანე ჯავახიშვილის წიგნის „საქართველოს საზღვრების“ შესახებ

**საგანგებო მიმართვა**

# „ნაცმოძრაობა გესტაპოსა და ჩეკას ნაზავია“

**„დღეს ჩვენი ისტორიისთვის ჭეშმარიტად ტრაგიკული თარილია“, ამ სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. მან ჟურნალისტებს გააცნო „პარტიის საგანგებო მიმართვა მსოფლიოს“ და ისაუბრა 2003 წლის 27 ნოემბერს დათხოვნილ ექვსპარტიულ პარლამენტზე, რომელთა შორის იყო ლეიბორისტული პარტიის ოცკაციანი შემადგენლობა.**



„6 წლის წინათ მიხეილ სააკაშვილმა არ იკმარა ძალადობრივი სახელმწიფო გადატრიალების გზით ძალაუფლების უზურპაცია და უცხოურ-სოროსული ცენტრების მხარდაჭერით, მსოფლიოში მანამდე არნახული წესით ჯერ აღადგინა ვადაგასული, მისგან შერისხული ე. წ. შევარდნაძის პარლამენტი, სადაც შევარდნაძეს საერთოდ აღარ ჰყავდა უმრავლესობა, ამასთან, ხელუხლებელი დატოვა მონოზისათვის მზადმყოფი, იმავე რეჟიმით არჩეული მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსი. შემდგომ ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა ოფიციალურად დაუდო სათავე არალეგიტიმურ პარლამენტარიზმს და ერთპარტიულ დიქტატურას საქართველოში. სააკაშვილის არარსებულ სინდისზეა, ეპოქის გენიოსი მწერლის გოდერძი ჩოხელის სიკვდილი, რომელიც ამის გამო დეპრესიით გარდაიცვალა“.

შალვა ნათელაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 2008 წლის 8 ივლისს სტრასბურგში ლეიბორისტების მიერ ზემოაღნიშნული მოვლენები უკანონოდ და არალეგიტიმურად ცნო, ხოლო პარტია ალიარა რეჟიმის მსხვერპლად.

„მივმართავ მსოფლიოში მოქმედ ყველა დემოკრატიულ პარტიას – შეწყვიტონ ყოველგვარი კონტაქტები სააკაშვილის ნაცმოძრაობასა და მათ მიერ უზურპირებულ პარლამენტთან, რადგან ეს ძალა წარმოადგენს „გესტაპოს“ და „ჩეკას“ ნაზავს, ჩვენი ეპოქისა და თანამედროვე ცივილიზაციის სირცხვილს“.

**თინათინ ბორცვაძე**

**კონტაქტები**

# ბარამიძის სტრასბურგული ოდისეა დასრულდა

**დასრულდა ვიცე პრემიერ-მინისტრ გიორგი ბარამიძის ოფიციალური ვიზიტი სტრასბურგში. ვიზიტის ფარგლებში 26 ნოემბერს ვიცე პრემიერ-მინისტრმა სამხრეთ კავკასიის დელეგაციის საგანგებო სხდომაზე ევროპარლამენტს სიტყვით მიმართა. გამოსვლამ ევროპარლამენტართა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.** სხდომამ საათზე მეტი გასტანა. გიორგი ბარამიძემ ყურადღება გაამახვილა რუსეთის აგრესიაზე, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე და ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაზე, კონფლიქტის მოგვარებაში ევროკავშირის როლზე. აღნიშნა, რომ რუსეთი დღესაც აგრძელებს თავის პროვოკაციებსა და აგრესიულ ქმედებებს. ევროპელ პარლამენტარებს ეთხოვათ დაკავებული ქართველი სკოლის მოსწავლეების დაუყოვნებლივ განთავისუფლებაში მხარდაჭერა. საუბარი ასევე საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივებსა და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს შეეხო. სხდომაზე დამსწრე ევროპარლამენტარებმა საქართველოს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს.

ვიზიტის ფარგლებში ვიცე პრემიერ-მინისტრი შეხვდა ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტებს დაიანა ვოლისს და ლიბორ რუჩეკს, საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს გაბრიელ ალბერტინისს, პოლიტიკური ჯგუფის კონსერვატორებისა და რეფორმისტების ხელმძღვანელს მიხალ კამინსკისს, საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრს, ლიბერალ-დემოკრატების პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელს ქრისტინა ოჯულანდს, ფრაქცია მწვანეების ხელმძღვანელს რებეკა ჰარმსს და სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილეს ჰანეს სვობოდას, საგარეო საქმეთა კომიტეტის ადამიანის უფლებებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელს ჰეიდი ჰოუტალასს, ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილეს იოანის კასოულიდასს, საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელს კრისტიან ვიგენინს.



გიორგი ბარამიძემ თხოვნით მიმართა ევროპელ პარტნიორებს, რათა მიიღონ ქმედითი ზომები ოკუპანტების მიერ სოფელ ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების გასათავისუფლებლად.

აღსანიშნავია, რომ ძალაში ახლადშესული ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისად, ევროპარლამენტის როლი და პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ჩვენი მწარე რეალობა**

# გამოწვდილი ხელი

**ამ დილით ძლივს ავითრიე ლოგინიდან წელი. კი არ მტკიოდა, გუნებაზე არ ვიყავი ან რად ვიქნებოდი? მთელი კვირა და რატომ თვე არა, მიუსვლელი არ დავტოვე ნათესავი, თანაკლასელი თუ ნაცნობ-უცნობი და სამსახური არ მეთხოვა. – ვნახოთ, მომავალში გავითვალისწინებთ, დღესდღეობით არაფერია – შეთანხმებულებივით მიპასუხებდნენ ერთსა და იმავეს. ჩემს გულში კი არავინ იხედებოდა. წყალში ვიდექ და ცეცხლი მეკიდა.**

ამ სამი წლის წინათ, უმაღლესი სასწავლებელი რომ დავამთავრე, დედაჩემს იმედი მიეცა, ცოტა გვეშველებაო, გვეშველა კი არა, უფრო მოგვეცარა ხელი, რაც დრო გავიდა. ოჯახში თუ რამ შემოგვრჩა ძველებული ნივთი, წირვა გამოვუყვანეთ. ღმერთიც გაახარებს ბიძაჩემს, ამ ერთი კვირის წინათ გურიიდან გვესტუმრა, ფეხის ტკივილს უჩივის, პროფესორს უნდა გავესინჯოო. ჩვენი მდგომარეობა რომ ნახა, გაბრუნებისას თავის დაც გაიყოლია, მე ოცი ლარი დამიტოვა. მომიბოდიშა, ბიძია, მეტი აღარ მაქვს, წამლებმა გამყვლიფესო. მიდექ-მოდექი, იქნებ სადმე სამსახური მოიძიოო. დედაშენის დარდი ნუ გექნება, რაცხანაირად გევიტანთ თავს, რას ვიზამთ, მსოფლიოს კრიზისია, ბიძიაო... იმ ოცი ლარიდან ოცი თეთრილა მიგდია ჯიბეში. რაც მე ეს ლარები ვზოგე, სულ ფეხით ვიჩანჩალე, პური და ჩაი ვიკმარე, მაგრამ... ცხონებულმა ბაბუამ იცოდა თქმა: ზღვა კოვზით დაილიაო, და მე რას გამიხდებოდა ეს ოცი ლარი ირგვლივ მარკეტების გადამკიდე. ჰოდა, ამ ოცი თეთრის იმედით ღირდა სისხამზე ადგომა? არავის ველოდი, არავინ მელოდა, ვიწექი გაშოტილი. ჩემს ბედზე, კინკილა ბუზიც არა ჩანდა ჭერზე, რომ ლუარსაბივით შემექცია თავი... წოლითაც რომ გავბეზრდი, ავდექი. ერთიორი ლუკმა გადავყლაპე და ჰაერზე გავედი... სასიამოვნო დღე იდგა. გაზაფხულის საკადრი ამინდი, არც ციოდა, არც ცხელოდა. საიდანღაც ნიავს იასამნის სურნელი მოჰქონდა. მივყვებოდი ქუჩას ტაატით და ვფიქრობდი, ორშაბათს სად შეიძლებოდა, რომ კიდევ მეცადა ბედი. გამახსენდა ერთი ტელეფონის ნომერი კიდევ მქონდა ამოწერილი „სიტყვა და საქმიდან“...

– ძია, ერთი აბაზი მომე, რა, – ფეხებში გამომედო თმააბურძგნული ათიოდე წლის ბიჭუნა. – ერთი აბაზი! – შემითამაშა საჩვენებელი თითი. ისეთი თვალებით მიყურებდა, წავხდი კაცი. იმ დალოცვილმა იცოდა თუ რა, ძალიანაც რომ მნდომოდა, მეტის მიმცემი არ ვიყავი. ხელი ჯიბისკენ წავიღე და მზეზე გაბრწყინებული ოცი თეთრი გავუწოდე. სად გაქრა, თვალი ვერ მოვკარი. გულზე მომეშვა, ხელგამოწვდილი ბავშვი რომ არ გავაწბილე. მაგრამ უზომოდ შევწუხდი კიდეც, რომ მეტი ვერ შევძელი.



– კეთილი გულით, მცირედიც შეიწირების – ჩამესმა კეთილი ანგელოსის ხმა.

– ვალში დავრჩი!

– მაგათი ვალიდან ვერავინ ვერ ამოვა. – მეჩურჩულებოდა კეთილი ხმა. – დაფიქრდი, აბა, იქნებ მაგ მათხოვარის სახით, წმინდა გიორგი გამოგეცხადა და იქით შეგაწია თავისი მადლი?!.

– წმინდა გიორგი! – უჩვეულო ჟრუანტელმა დამიარა. სწორედ წმინდა გიორგის ძალა იფრქვეოდა იმის თვალებიდან... დიდება შენდა, ღმერთო! გადავისახე პირჯვარი.

შინ შემოვედი თუ არა, სამუშაო მაგიდასთან წმინდა გიორგის ხატთან სანთელი დავანთე (დედა პურს მოიკლებდა, სანთელს არაძ, სავარძელში ჩავჯექი და ფიქრს მივეც თავი...

ველი ორშაბათს, სამშაბათი იყოს, თუნდაც ოთხშაბათი, რაზეა ლაპარაკი...

მანამდე...

**ქეთევან ჭილაშვილი**

**კონფერენცია**

# ქაიროს მოსახლეობისა და განვითარების კონფერენციის მე-15 წლისთავი

**გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაეროს მოსახლეობის ფონდმა და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტმა ქაიროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლეს, რომელშიც თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ და საკმაოდ საინტერესო და მაღალ დონეზე მომზადებული თემები წარმოადგინეს. მათ ინტერესში ფართო სპექტრის სოციალური პრობლემები და თვალთახედვები მოექცა, როგორიცაა მაგალითად, გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებების გაზრდა, ხანდაზმულთა პრობლემები, სახელმწიფოს როლი ქალთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში, ბავშვთა უფლებები და ოჯახური ძალადობა.**

აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა თაობა კარგად არის გათვითცნობიერებული ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებში, მხოლოდ სხვისი შეხედულებებით კი არ მსჯელობენ, არამედ ჩანს, რომ თვითონაც ღრმად უკვირდებიან და სწავლობენ იმ საკითხებს, რომელმაც გამოძახილი მათ თემებში ჰპოვა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან საქართველოში მსგავსი სოციალური პრობლემები მწვავედ დგას და მათ გადაწყვეტას მოსახლეობის არაინფორმირებულობასთან ერთად, ხშირად სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკა და ასევე სხვა მენტალურ-ეკონომიკური შეხედულებები და მდგომარეობა უშლის ხელს.

იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც საფუძვლიანად მიმოიხილეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პერსპექტივები საქართველოში, ალბათ მომავალში უფრო მეტი პასუხისმგებლობაც დაეკისრებათ და გაცილებით განსწავლულები, შეძლებენ ნამდვილი დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას, რომელიც არც ქართულ საფუძველს იქნება მოკლებული და რომლისკენაც უკვე რამდენი ხანია მიისწრაფვის ქართული საზოგადოება.



ქაიროს კონფერენცია პირველად 1994 წლის 13 დეკემბერს გაიმართა. ამ კონფერენციაზე მიიღეს ქაიროს მოსახლეობის განვითარების 20-წლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ეგვიპტეში უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას, დაწყებითი განათლების უზრუნველყოფას, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას და სხვა მსგავს საკითხებს. ამ კონფერენციით ეგვიპტე შეუერთდა იმ 179 ქვეყანას, რომელთაც გაეროს მსგავსი სახის პროგრამაში მონაწილეობს.

საქართველოში, სადაც ეგვიპტეზე მწვავედ იჩინა თავი ამ საკითხებმა (განსაკუთრებით ახლა, როცა 15 წელია ეგვიპტე ამ პროექტში მონაწილეობს და უმნიშვნელოვანესი წარმატებები აქვსძ, ახალგაზრდებისა და საზოგადოების ინფორმირებულობა უპირველესი და მისასალმებელია, ამის გარდა, მოზარდ თაობაში პრობლემების ძირფესვიანად წვდომისა და გადაწყვეტის ასეთი მნიშვნელოვანი მზაობა იმედიან განწყობას ქმნის.

**ანა წიწილაშვილი**

◎ პრიორიტეტები



# ბურჯანაძის მოძრაობა მერობის ოპოზიციონერ კანდიდატს დაუჭერს მხარს

**ბლიც-ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობის – ერთიანი საქართველოს“ ლიდერთან, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან**

**– ქალბატონო ნინო, დღეს თქვენი მოძრაობის ეკონომიკური პროგრამა წარმოადგინეთ. რა პრიორიტეტები განსაზღვრეთ ამ მიმართულებით?**

– ეკონომიკური პროგრამით კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ჩვენი დაპირებების და მიზნების რეალისტურობა. ვადასტურებთ ასევე იმას, რომ ჩვენი ცოდნიდან გამომდინარე, რეალურად გვაქვს რესურსი, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკა სწორად წარვმართოთ. თავად ხელისუფლების ოფიციალური მონაცემების ანალიზის შედეგად ვხედავთ, რომ დღეს ქვეყანა ძალიან ბევრი მიმართულებით მინუსებშია წასული და 2013 წლისთვის უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან საგარეო ვალის დასაფარად ბიუჯეტიდან ყოველი მესამე ლარი იქნება გადასახდელი. ჩვენი პროგრამის ამოცანაა, ქვეყნის ეკონომიკა გადარჩეს. ჩვენი ამოცანაა, მოსახლეობას ჰქონდეს როგორც საშუალო, ისე გრძელვადიანი განვითარების საშუალება.

**– სხვადასხვა მიმართულებით შემუშავებული პროგრამების პრეზენტაციის გარდა რა გეგმები გაქვთ დასახული უახლოესი მომავლისთვის?**

– ჩვენ ვმუშაობთ სხვადასხვა მიმართულებით. პრეზენტაციებს აუცილებლად გავაგრძელებთ. წარმოდგენილი იქნება ნარკომანიის პრობლემებთან, შემდეგ განათლების, დემოგრაფიისა და სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებული პროგრამები, საბოლოო ჯამში კი ყველა მიმართულებას დავფარავთ. გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს რეგიონებში მუშაობა, მოსახლეობასთან შეხვედრები, რათა ჩვენი პოზიციები მათთვის ნათელი გავხადოთ. ჩვენ ვემზადებით იმისათვის, რომ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გარკვეული ნაბიჯები გადავდგათ.

**– რაც შეეხება მაისში დაგეგმილ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, აპირებთ თუ არა მასში მონაწილეობას და უნდა ველოდეთ თუ არა, რომ მერობის კანდიდატი თქვენც გეყოლებათ?**

– ჩვენს პარტიას მერობის კანდიდატი არ ეყოლება, რადგან მიგვაჩნია, რომ ხალხი ითხოვდა არა ადგილობრივი თვითმმართველობის, არამედ საპრეზიდენტო არჩევნებს. გარდა ამისა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში არანაირ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ რომელიმე არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებთ. რეალობა გვიჩვენებს, რომ ხელისუფლება არაფრის შეცვლას არ აპირებს, თუმცა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მაინც მივედით, მხარს ოპოზიციურ კანდიდატს დავუჭერთ.

**– და ბოლოს, ზურაბ ნოღაიდელი ამჟამად მოსკოვშია და რუსეთის ოფიციალურ პირებთან შეხვედრებს მართავს. როგორ აფასებთ მის ამ ვიზიტს და რუს მაღალჩინოსნებთან შეხვედრებს?**

–საინტერესო იქნება ამ შეხვედრების შედეგები. სავსებით ნორმალურად მიმაჩნია, რომელიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერი ვაშინგტონში, ბრიუსელში, პარიზში ან მოსკოვში წავიდეს. ვთვლი, რომ რუსეთთან საუბარი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

**– ნოღაიდელის მსგავსად, რუსეთში გამგზავრებას და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრების გამართვას ხომ არ აპირებთ?**

– როცა დავაპირებ, აუცილებლად გეტყვით...

**მინდია აფციაური,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

◎ თვალსაზრისი

***დეკემბრის პირველი რიცხვებისთვის თბილისში დაგეგმილ რუს ექსპერტთა ვიზიტის მიზნებზე, თუ რა რეაქცია მოჰყვა რუსულ საექსპერტო წრეებში პრიმაკოვის იუბილეზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზე პუტინის განცახდებას, რა ვითარებაშია შესაძლებელი მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღირების გაწვევა და საქართველოსთან დამოკიდებულებაში მოვლენათა განვითარების რა სავარაუდო სცენარებს ამუშავებს მოსკოვი, „ინტერპრესნიუსი“ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კავკასიის კვლევათა ცენტრის ექსპერტს ნიკოლაი სილაევს ესაუბრა.***

# აფხაზეთითა და სამხრეთ ოსეთით ვაჭრობა?



**ნიკოლაი სილაევი: თუ ევროპული უსაფრთხოების ახალი ხელშეკრულების ფარგლებში ნატო-რუსეთის ურთიერთობის განსხვავებული მიდგომები შემუშავდა, როგორც პუტინმა თქვა, შეუძლებელი არაფერია**

**– ბატონო ნიკოლაი, რა მიზანს ისახავს დეკემბრის დასაწყისისთვის თბილისში დაგეგმილი რუს ექსპერტთა ვიზიტი?**

– თბილისში ჩამომსვლელთათვის უფრო მისაღებია ტერმინი მეცნიერები, ვიდრე ექსპერტები, ვინაიდან ჯგუფის შემადგენლობაში არიან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმერ ბარანიკოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციისა და საზოგადოებრივი მეცნიერების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ალექსანდრე მილერი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის მრჩეველი არტიომ მალდინი, ჯგუფს მოგვიანებით შეუერთდება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალ „რუსეთის ისტორიის“ მთავარი რედაქტორი ანდრეი მედუშევსკი.

რაც შეეხება ვიზიტის მიზანს. გასაგებია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ახლა ურთიერთობები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ, იმავდროულად, გასაგებია, რომ არც ერთი პრობლემა, რომლებიც ორ ქვეყანას შორის არსებობს, ურთიერთობების დღევანდელი დონის პირობებში არ გადაწყდება.

არც ვიცი, როგორ არის საქართველოში, მაგრამ რუსეთში საქართველოს შესახებ ცოდნის დეფიციტია. ამას ემატება ენობრივი ბარიერი, რომელიც ყოველდღიურად ღრმავდება. რუსეთში თითზე ჩამოსათვლელი არიან კავკასიის საკითხების სპეციალისტები, ადამიანები, რომლებმაც იციან ქართული ენა. ჩვენი ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ დეფიციტის იქ აღმოფხვრაა, სადაც კი ამის გაკეთება შესაძლებელი იქნება. დაგეგმილია დატვირთული პროგრამა თბილისში მოქმედ „რუსეთის კვლევების ქართულ ინსტიტუტში“, ამ პროგრამის ფარგლებში საუბარი იქნება არა მარტო რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, არამედ თანამშრომლობის ფართო სპექტრზე. გარდა ამისა, დაგეგმილია მრგვალი მაგიდა, რომელზეც ქართველ კოლეგებთან ერთად თანამშრომლობის მიმართულებებსა და პერსპექტივებს განვიხილავთ.

**– თქვენი ვიზიტი კერძო ინიციატივაა თუ რუსეთის ხელისუფლებამ შემოგთავაზათ თბილისში გამომგზავრება? აგვისტოს მოვლენების შემდეგ გაკვირვებას იწვევს მოსკოვის სახელისუფლო წრეების თბილისთან ურთიერთობების სასწრაფოდ დამყარების არაერთი მცდელობა...**

– თბილისში გამგზავრება კერძო, ჩემი და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტთან არსებული კავკასიის ცენტრიდან ჩემი კოლეგების ინიციატივაა, რომელსაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დაუჭირა მხარი. არ ვიცი, ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ჰქონდა თუ არა ამ თემაზე პოლიტიკოსებთან საუბარი.

რაც შეეხება სწრაფად ურთიერთობების დამყარებას; განსაკუთრებულ სისწრაფეს ვერ ვხედავ, პირიქით, მგონია, რომ ძალიან დავაგვიანეთ. ჩვენ რომ ამგვარი ურთიერთობები 2-3 წლის წინათ არ გვქონდა, ეს რითაც დასრულდა, ცნობილია.

გასაგებია, რომ ურთიერთობების აღდგენისთვის ახლა საუკეთესო დრო არ არის, მაგრამ საკითხავია, კიდევ რა სიტუაციას უნდა დაველოდოთ, რათა ურთიერთობების აღდგენისთვის მუშაობა დავიწყოთ? კარგად მესმის, რომ მეცნიერთა ვერანაირ თანამშრომლობას არ შეუძლია ნეგატიური სცენარების თავიდან აცილება, მაგრამ მაინც მგონია, რომ ერთმანეთზე ცოდნის დეფიციტის დაძლევა აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის პირობების შესაქმნელად.

**– ვითარებაში, როცა რუსეთის ლიდერები აცხადებენ, რომ მოსკოვი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის საკითხებს არ გადახედავს, მოსკოვიდან თბილისში ჩამოსული სტუმრები ამ პოზიციას ახმოვანებენ, რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ხელისუფლებას, მათ შორის ექსპერტებსა და მეცნიერებს სურთ, მიაჩვიონ ქართველები იმ აზრს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაკარგული ტერიტორიებია?..**

– მესმის, რომ ვითარება მარტივი არ არის, მაგრამ არ მინდა რუსულ-ქართული პრობლემური ურთიერთობების მთელ კომპლექსზე პასუხისმგებლობა რუს მეცნიერებს დაეკისროს. ჩვენ, როგორც რუსეთის მოქალაქეები ალბათ, გარკვეულწილად, დამნაშავე ვართ იმაში, რაც ხდება, მაგრამ იმაზე, რაც ხდება, რუსი მეცნიერებისთვის პასუხის მოთხოვნა, ჩემი აზრით არაკორექტული იქნებოდა.

არ ვიზიარებ საქართველოში არსებულ მოსაზრებას, რომ ვიდრე რუსეთ-საქართველოს შორის პრობლემები არ მოგვარდება, სხვადასხვა სფეროებში რუსეთთან თანამშრომლობა დაუშვებელია. ასეთ პოზიციას არაკონსტრუქციულად ვაფასებ. თუ რუს და ქართულ ინტელექტუალურ ელიტებს შორის თანამშრომლობა არ იქნა, ეს პრობლემები არ გადაწყდება. როცა ამას ვამბობ, პირველ რიგში ერთმანეთზე ცოდნის გაღრმავებას ვგულისხმობ. ნამდვილად არ მინდა, რომ ჩვენი ინიციატივა პოლიტიკის კონტექსტში იყოს განხილული. თუმცა, ჩვენი სურვილია არსებული პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტისთვის გარკვეული პირობების შექმნა. მეცნიერებს შორის კავშირების აღდგენა შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკური ცვლილებების საფუძველი.

**– ბატონო სერგეი, თუ რუსეთის სამეცნიერო წრეებს, თანაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას სურს ქართველ კოლეგებთან ურთიერთობების დამყარება, ამისთვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას რატომ არ მიმართეთ? ადამიანები, რომლებთანაც თქვენ თბილისში გაქვთ დაგეგმილი შეხვედრები, მეცნიერები კი არიან, მაგრამ საზოგადოება მათ ექსპერტებად იცნობს და ისინი აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში...**

– აკადემიური სტრუქტურები მოუქნელად მოქმედებენ, ამიტომ ვარჩიე იმ კონტაქტების გამოყენება, რომელიც მაქვს. თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ჩვენი აქტიურობის შედეგად მომავალში რუსეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების თანამშრომლობას იმპულსი მიეცემა. მაგრამ ახლა ისეთი ვითარებაა, რომ ურთიერთობების განვითარებისთვის საჭიროა ნაპერწკალი...

**– ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე პუტინმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზე ხმაურიანი და სენსაციური განცხადება გააკეთა და ამ საქმის მოგვარება „პლეხანოველ“ პრიმაკოვს საზეიმოდ დაავალა. რას შეიძლება ნიშნავდეს პუტინის ეს განცხადება და საერთოდ, რა რესურსი აქვს ბატონ პრიმაკოვს საამისოდ, რომ პუტინის დავალება შეასრულოს და როგორ აღიქვა იგი რუსულმა საექსპერტო თანამეგობრობამ?**

– იმის გათვალისწინებით, რომ პუტინმა ეს განცხადება არაოფიციალური ფორმით გააკეთა, ექსპერტთა წრეებს მასზე აქტიურად არ უმსჯელიათ. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ საქართველოსთან უფრო ჰარმონიულ საფუძველზე ურთიერთოების წარმოების გარკვეული სცენარები და პერსპექტივები დიდი ხანია განიხილება და ამ თვალსაზრისით რუსი ექსპერტებისთვის პუტინის განცხადება მოულოდნელობა და სენსაცია არ ყოფილა. ექსპერტთა თანამეგობრობისთვის პუტინის ეს განცხადება პრემიერის სტრატეგიული მიზნების გაგების კარგი საშუალება იყო. პრეზიდენტმა და პრემიერმა არაერთხელ განაცხადეს, რომ საჭიროა საქართველოსთან ურთიერთობები. ასე რომ, ეს განცხადება ამ ხაზის გაგრძელება იყო. სხვა საქმეა, რომ ახლა არავინ იცის, როგორ შეიძლება საქართველოსთან უფრო ჰარმონიულ საფუძველზე პრობლემების მოგვარება.

მოსკოვის ნება არ იყო, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები ევროპული უსაფრთხოებისა და ნატოს გაფართოების კონტექსტში ჩაერთო. ახლა უდავოა, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ფართო კონტექსტშია შესაძლებელი. თუ ევროპული უსაფრთხოების ახალი ხელშეკრულების ფარგლებში ნატო-რუსეთის ურთიერთობის განსხვავებული მიდგომები შემუშავდა, როგორც პუტინმა თქვა, შეუძლებელი არაფერია.

რაც შეეხება პრიმაკოვს, იგი რჩება ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან რუს დიპლომატად და შესაძლოა, სწორედ ამიტომაც დაავალა მას პრემიერმა საქართველოს საკითხზე მუშაობა.

**– თუ დასავლეთსა და რუსეთს შორის უსაფრთხოების საკითხებში კონსენსუსი მოიძებნა, რამდენად სავარაუდოა, რომ რუსეთი უარს იტყვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე და მოსკოვი თბილისს საქართველოს კონფედერაციული მოწყობის მოდელს შესთავაზებს?**

– ამ ვითარებაში საქართველოსთვის კონფედერაციული მოწყობის მოდელის შეთავაზება ყველაზე სავარაუდოა. კონფედერაციაზე საუბარი მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა თბილისი სოხუმსა და ცხინვალს პოლიტიკურ სუბიექტებად აღიარებს. მე არ ვსაუბრობ იმაზე, რომ თბილისმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, საუბარია სოხუმისა და ცხინვალის პოლიტიკურ სუბიექტებად აღიარებაზე. ტექნიკური თვალსაზრისით როგორ შეიძლება ყველაფერ ამის იურიდიულად და პოლიტიკურად რეალიზება, ეს ცალკე და რთული თემაა. სინამდვილეში, თბილისთან რუსეთის მიმართება წლების მანძილზე ეფუძნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემებით ვაჭრობას. ასეთი ვითარება კი, დაუშვებელია.

**– ხომ არ გეჩვენებათ, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხების ევროპული უსაფრთხოების ახალ ხელშეკრულებასა და ნატო-რუსეთის ურთიერთობის ახალ მიდგომებთან დაკავშირებაც ვაჭრობაა, ოღონდ ახლა არა მოსკოვსა და თბილისს, არამედ მოსკოვსა და ბრიუსელს, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის?**

– კი, გარკვეულწილად, ასეა. ევროპული უსაფრთხოების ახალი ხელშეკრულება და ნატო-რუსეთის ურთიერთობის ახალი მიდგომები იმდენად პირობა კი არ არის, არამედ ის, როგორ უნდა შეიცვალოს სიტუაცია, რათა შესაძლებელი იყოს ახალი მიდგომების მოძებნა იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებზეც ვსაუბრობთ.

**– იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთსა და მოსკოვს შორის ევროპულ უსაფრთხოებაზე კონსენსუსი მოიძებნა, ამ შემთხვევაში რუსეთი გაიწვევს თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას?**

– თქვენ კონკრეტულ დიპლომატიურ გადაწყვეტილებებზე საუბრობთ, რომლებზე მსჯელობისთვისაც ახლა მზად არა ვარ. მე იმ საერთო პოლიტიკურ პირობებზე ვსაუბრობ, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია პრობლემების გადაწყვეტა.

**კობა ბენდელიანი**

◉ მრგვალი მაგიდა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჟურნალისტებისთვის მრგვალ მაგიდას უმასპინძლა. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურმა DAAD-მა და უნივერსიტეტის რექტორატმა შეხვედრაზე მოიწვიეს ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი და მედიამკვლევარი გიუნტერ ფონ ლოევსკი, რომელმაც ქართველ ჟურნალისტებთან ერთად, ქართულ მედიაში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო სამაგისტრო პროგრამებზე ისაუბრა.**

პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია მსგავსი კონტაქტები და შეხვედრები უცხოური მედიის წარმომადგენლებთან.



# გერმანელმა ჟურნალისტმა დაგვმოძღვრა...

**გიუნტერ ფონ ლოევსკი, გერმანელი ჟურნალისტი და მედიამკვლევარი:** ორი კვირის განმავლობაში ვმართავდი ლექციებს ჟურნალისტ სტუდენტებთან და ვუზიარებდი ჩემს 30-წლიან გამოცდილებას. რასაკვირველია, კარგად ვიცი, რა პოლიტიკური პრობლემებიცაა საქართველოში, თუმცა მათი გადაწყვეტა ჟურნალისტების საქმე არაა, სამაგიეროდ მათ შეუძლიათ კარგი ურთიერთობები დაამყარონ ამ ქვეყნებს შორის. ამით კი უფრო მკვეთრი გახდება მედიის გავლენა.

გერმანელმა ჟურნალისტმა ვრცლად ისაუბრა სტუდენტებისთვის სამაგისტრო პროგრამასა და სტიპენდიაზე. მან აღნიშნა, რომ დიდი სურვილი აქვს, გერმანიასა და საქართველოს შორის კიდევ უფრო გაფართოვდეს ურთიერთობა განათლების სფეროში. მან წარმოადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც ბერლინის თავისუფალმა უნივერსიტეტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა განახორციელონ საერთო სამაგისტრო პროგრამა ჟურნალისტიკაში. თუმცა ამ ეტაპზე განსაზღვრული არ არის, რომელ უცხო ენაზე ისწავლიან სტუდენტები. სამაგისტრო პროგრამის გარდა, წარმოადგინეს პრაქტიკოს ჟურნალისტებზე ორიენტირებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მათ საფუძვლიანად გადამზადებას. სავალდებულოა მხოლოდ გერმანული ენის საფუძვლიანი ცოდნა და მედიაში მუშაობის გამოცდილება.

უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა გია ხუბუამ აღნიშნა: „ქართულ მედიაში არსებობს დიდი პრობლემები, რომლებიც უპირველესად საჭიროებს უნივერსიტეტის სასწავლო სისტემის საფუძვლიან გადახედვას. ამ მხრივ უნივერსიტეტი სერიოზული გამოწვევების წინაშეა და ეს უფრო სწრაფად და მარტივად უნდა დაიძლიოს. მით უმეტეს, როცა ასეთი პროფესიონალებისა და წამყვანი ჟურნალისტების მხარდაჭერა გვაქვს. სტუდენტებს ვთავაზობთ ძალიან საინტერესო სამაგისტრო პროგრამას. ვფიქრობთ, როგორც დღეს მიმდინარე პროგრამებს, ამასაც წამყვანი დონორი ორგანიზაციები დააფინანსებენ. ჩვენს უნივერსიტეტში უნდა ჩამოვაყალიბოთ ძლიერი ჟურნალისტური ცენტრი“.

**შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მარინე ვაშაყმაძემ, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორი და ასევე რადიო „თავისუფლების“ თბილისის ბიუროს ხელმძღვანელია, მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის და დაპირდა, რომ კვლავაც გაგრძელდება მსგავსი შეხვედრები და დისკუსიები.**

**თინათინ ბორცვაძე**

◉ ინფორმაცია

## ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობა საფრთხეშია

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**მისი ადვოკატის ქეთი ბექაურის განცხადებით, მას ექიმების დახმარება ხუთშაბათ საღამოს დასჭირდა.**

**— ცოტნე გამსახურდია უკვე 30 დღეა შიმშილობს. 8 დღის წინათ მან აქციის ფორმა გაამკაცრა და მშრალ შიმშილობაზე გადავიდა, რამდენიმე დღის წინათ უარი თქვა მედპერსონალის მომსახურებაზეც. თუმცა, ახლა მის სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში გადაყვანას მოვითხოვთ, — განაცხადა ბექაურმა.**

**ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფს დღეს კიდევ ერთხელ მოინახულებს.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

◉ განგაში!

# „წუხელის ბიჭი დაბადებულა!..“

**სახელად გიორგი!..**

**ის, სამშობლოდან გადახვეწილი ახალგაზრდების, ქეთევან და ბესო ნადარაიების პირველი ძე, უკვე იტალიის მოქალაქეა. ამის შესახებ ჩემმა ქალიშვილმა ნინომ შემატყობინა. ისიც დაამატა, რომ დედ-მამა უმუშევრები არიან. პატრონმა როგორც კი შეიტყო, რომ ქეთი ფეხმძიმედ იყო, უცერემონიოდ გაათავისუფლა სამუშაოდან, ხოლო ვახტანგი აგერ უკვე მესამე წელია, ეძებს რაიმე სამსახურს. რა თქმა უნდა, არალეგალები არიან და...**

საბედნიეროდ, ჩემმა ქალიშვილმა და მისმა მეგობარმა ნათელა დვალიშვილმა, მუსიკალური სასწავლებლის გამორჩეულმა პედაგოგებმა, აგერ უკვე მეხუთე წელია, უცხოეთში რომ იმყოფებიან, ქალაქ ბოლონიაში ორმოცამდე ქართველ ქალთან ერთად იტვირთეს მათი გადარჩენა. ისინი ყოველთვიურად უგროვებენ ფულს, სანამ ნატა გამოჯანმრთელდება და სამსახურს იშოვის. იქ ქალბატონებისთვის სამუშაოს შოვნა შედარებით ადვილია.

ჩემმა ქალიშვილმა ისიც მითხრა, რომ მარტო ქალაქ ბოლონიაში 5 ქართველი ახალშობილია, მათ შორის, ერთი ტყუპი, და ყველა ვაჟია. ბუნებრივად გამიჩნდა კითხვა და ჩემი ქალიშვილისთვისაც მინდოდა მეკითხა, მერე დაბრუნდებიან კი სამშობლოში? თუმცა სიტყვა ვერ დავძარი. ვიცი, თვითონ მას როგორ ენატრება აქ დარჩენილი თავისი შვილიშვილები. ნიტა ისე წამოიზარდა, ბებოს მხოლოდ ინტერნეტით ხედავს. აგერ, 18 ნოემბერს, ბიჭიც გაჩნდა. ბებიას სიხარულის ნაცვლად ცრემლები ახრჩობს. აბა, როგორ ჩამოვიდეს, მუსიკოსმა პედაგოგმა აქ სამსახური რომც იშოვოს, რა ისეთ ხელფასს აიღებს, თვიდან თვემდე თავადაც გაიწვდინოს და შვილიშვილებსაც აკმაროს?

მე კი გიორგისა და მის მშობლებს და კიდევ იმ ოთხი ვაჟის დედ-მამას მინდა მივულოცო, მოვეფერო და მათთვის ასე ძვირფასი ქართული ლოცვა შევაწიო უცხო მხარეში.

ვინ იცის, ამ დღეებში რამდენი ჩვენებური დაიბადა თუნდაც რუსეთში, სადაც მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, ან ამერიკაში, გერმანიაში, ავსტრიასა თუ ოკეანის გადაღმა თითქმის ყველა ქვეყანაში. მერედა, ვინმე ფიქრობს მათ დაბრუნებაზე?

ჩვენი პრეზიდენტი და მისი ბედნიერი გარემოცვის წევრები საკუთარი სკამების შენარჩუნებაზე გაცილებით მეტს ფიქრობენ, ვიდრე საკუთარ ხალხზე. არადა, ახლახან სადღაც წავიკითხე, ქართველობა გაქრობის პირას მდგარ რამდენიმე ერს შორის არისო მსოფლიოში.

აგერ, ბატონებო და ქალბატონებო, ფაქტებიც: „2007 წელს დაიბადა 49287, გარდაიცვალა 41178 ადამიანი, ბუნებრივმა მატებამ კი შეადგინა 8109. კოეფიციენტში — შობადობაა 11,2; სიკვდილიანობა — 9,4, ხოლო ბუნებრივი მატება — 1,8.

2008 წელს დაიბადა 56565, ხოლო გარდაიცვალა — 43011 ადამიანი, ბუნებრივი მატება — 13554“.

შექმნილ ვითარებას უფრო რომ ჩავღრმავებოდით, კაცს ალბათ გული გაუსკდებოდა. მოსახლეობის კლება ჯერ კიდევ 1997 წლიდან დაწყებულა, თანაც კატასტროფულად. გათვლებში გათვალისწინებული არ არის საქართველოდან გასულ მოქალაქეთა რიცხვი. მათი რაოდენობა კი სადაცაა ორ მილიონს მიაღწევს. ამ მატებაში მნიშვნელოვნად დიდია არაქართული მოსახლეობის წილი.

ისტორია ღაღადებს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აღმავლობის ხანაში, ანუ XII საუკუნეში ქართველობა მსოფლიო მოსახლეობის 2,3 პროცენტს შეადგენდა. თურმე ამჟამად მხოლოდ 0,06 პროცენტი ვართ. 1254 წელს მონღოლების მიერ საქართველოში ჩატარებული აღწერა გვიჩვენებს, რომ მოცემული პერიოდისათვის მოსახლეობა 5 მილიონს აღემატებოდა, შესაძლოა ბევრად მეტნიც ვიყავით.

ნუთუ ასე ულმერთოდ უნდა გავიწიროთ?! სადღაა ქართული შემართება, მამულიშვილობა, პატრიოტიზმი. ქართველობა იმ ავადსახსენებელი კომუნისტების ჟამს ბევრად სწრაფად მრავლდებოდა. 1989 წლის აღწერით, ხუთმილიონნახევრიან მოსახლეობაში 3 მილიონ 664 ათასი ქართველი იყო. დღეს კი...

ესაა ჩვენი დამოუკიდებელი საქართველო?! ესაა ჩვენი სულისკვეთება, რომ ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე მრავალათასწლოვანი ქართველობა გადავაჯიშოთ?!

სათქმელი ბევრია, მაგრამ...

დროა, განგაშის ზარი შემოვკრათ, ქართველებო, გაიღვიძეთ, არ მოუღუნდეთ, არ შეუშინდეთ დღევანდელობას!

**გივი ჯახუა**



**P. S. დიახ, 18 ნოემბერს ბადიში შეგვეძინა, ტიტე-გიორგი დავარქვით, ბიჭია, ბიჭი!**

**როგორ არ მიხარია, მაგრამ...**

**თუ ასე გაგრძელდა, იმ ჩემი ბადიშისთვის საქართველოში ადგილი არ დარჩება. უკეთეს შემთხვევაში, იცხოვრებს სხვადასხვა ჯიშის ხალხთა კონგლომერატში.**

**ისე კი, ახლა საქართველოში შვილის ყოლას მხოლოდ ახალი ქართველები, მდიდრები ან მთავრობის ხალხი და პარლამენტარები თუ ისურვებენ. მშობიარობისთვის გადასახდელად სულ ცოტა 1500-2000 ლარი ჯიბეში თუ არ გიჭყავის, ბავშვს საავადმყოფოდან ვერ გამოიყვან.**

**გიხაროდეს! მალე ეს ქვეყანა მხოლოდ მდიდრებისა იქნება...**

**გ. ჯ.**

◉ ახალი პროექტი

# „ჰუმანურობა — უპირველესად“

**სასტუმრო „ვერე პალასში“ გაიმართა პროექტის „ჰუმანურობა უპირველესად“ წარდგინება. ჰოლანდიური ორგანიზაციის „აინლინე ოუნდატიონ“, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი „ალტერნატივა ჯორჯია“ და საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“ იწყებენ ერთობლივ პროექტს „ჰუმანურობა — უპირველესად“. პროექტს აფინანსებს ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.**

პროექტის მიზანია ნარკოტიკების მომხმარებელთა და წამალდამოკიდებულ პირთა ჯანმრთელობის უფლების მხარდაჭერა და ეფექტიანი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის საპატიმრო დაწესებულებებში.

კავშირ „ალტერნატივა ჯორჯიას“ ხელმძღვანელმა დავით ოთიაშვილმა აღნიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ნარკოპოლიტიკის გარშემო ევროპული ცოდნის გამოცდილება. პროექტის მიზანია ცოდნის გაცვლა ევროპელ და ქართველ კოლეგებს შორის, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესწავლა და დანერგვა საქართველოში. ამ სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი შეხვედრები ქართველ კოლეგებთან, სხვადასხვა უწყების — სასჯელაღსრულების, ძალოვანი, ჯანდაცვის წარმომადგენლებთან, პარლამენტის წევრებთან. პროექტის ფარგლებში ქართველები ევროპაში გაემგზავრებიან სასწავლო ვიზიტით და შეისწავლიან იმ გამოცდილებას, თუ როგორ ხდება ნარკოტიკის პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება ევროპაში.



პროექტის წარდგენაზე ხაზი გაესვა ნარკოკანონმდებლობითი პოლიტიკის ერთ უარყოფით ასპექტს — წამალდამოკიდებულ ადამიანს ციხეში მეტი შანსი აქვს აღმოჩნდეს, ვიდრე სამკურნალო დაწესებულებებში. ეს უმართებულოა და საინტერესოა ამ თვალსაზრისით ევროპული გამოცდილების გაზიარება.

პროექტის წარდგენაზე, საქართველოში ჰოლანდიის მისიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ჰაინო ვან ჰაუველინგენმა, Mainline Foundation-ის წარმომადგენელმა ანცელა ვუტსიმ.

კავშირ „თანადგომის“ სახელით, ციხის კომპონენტი წარადგინა კახა კეპულაძემ. მისი თქმით, სხვადასხვა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩატარდება კვლევა, რომელიც უკავშირდება შიდსის პრევენციის მეთოდებს, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი და გაირკვევა, რომელი მეთოდი უფრო ეფექტიანია.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ კრედიტი



# გზა — პირდაპირიც და შემოვლითიც — საუცხოო იქნება

**საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობაზე ბოლო წლების განმავლობაში იმდენი ითქვა და დაიწერა, გამეორებას ნამდვილად არავითარი აზრი არა აქვს. არადა, დერეფანი დერეფნად, მაგრამ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, თავად ტრასის საფარის, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, გარდა იმისა, რომ საშინელ დისკომფორტს უქმნის მძღოლებს, თავად გადაზიდვების ღირებულებასაც ზრდის.**

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტოსაგზაო მაგისტრალის რეაბილიტაციის პროცესის დაფინანსება 2006 წელს დაიწყო მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრებით. თავდაპირველად აღნიშნული პროექტი ტრასის აღაიანი-იგოეთის 13-კილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენა-გაფართოებას ითვალისწინებდა და მიზნად ისახავდა გადაზიდვებზე სატრანსპორტო ხარჯის შემცირებას, მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვის პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლებასა და სატრანზიტო მოძრაობის გამარტივებას.

ახლახან კი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 28 მილიონი დოლარის ოდენობის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის კრედიტი, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრასის რეკონსტრუქციის პირველი პროექტის დამატებითი ფინანსირებისთვისაა გათვალისწინებული. კერძოდ, **აღნიშნული თანხა განკუთვნილია რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციისთვის, 4 კილომეტრზე მეტი შემოსავლელი გზის შესაკეთებლად, ასევე ინსტიტუციური გაძლიერებისთვის.**

ვისაც დასავლეთ საქართველოს მიმართულებით ბოლო წლების მანძილზე ერთხელ მაინც თუ უმგზავრია ავტოტრანსპორტით, კარგად იცის, რომ რიკოთის გვირაბი, რომელიც როგორც ქვეყნის ორი ნაწილის — აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ასევე ერთიანად ამ ავტომაგისტრალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკვანძო უბანია, ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია. ამასთან, რიკოთის გვირაბი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტია, ვინაიდან ნებისმიერ პირობებში როგორც ტვირთის, ასევე მგზავრების გადაზიდვის ერთადერთი მარშრუტია.

როგორც მსოფლიო ბანკში აღნიშნავენ, მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტი საქართველოში თავისი ჯგუფის ახალი სტრატეგიის ერთი ნაწილია. კერძოდ, მსოფლიო ბანკის საქართველოს ჯგუფის ახალი სტრატეგიის არსი განვითარების საერთაშორისო სააგენტოსა და განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის მიერ 2010-2013 ფისკალურ წლებში 396 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტების გაცემაა. ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ბანკის პორტფელში თორმეტი პროექტია, რომელიც ასევე ძლიერი საკონსულტაციო პროგრამითაც იქნება გამაგრებული.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია

## გილაური ინვესტორებს ეპატიჟება

**საქართველო** უსაფრთხო ადგილია ინვესტიციების განსახორციელებლად, ეს 2008 წლის ომის დროსაც დადასტურდა, როდესაც არც ერთი კონტრაქტი არ დარღვეულა, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა სააგენტო „როიტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

გილაურის თქმით, ქვეყნის სხვა და სხვა სექტორში საკმაოდ მომგებიანი ინვესტიციების განხორციელებაა შესაძლებელი.

პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ საქართველომ ეკონომიკური კრიზისი უკვე დასძლია და ის ძალიან მნიშვნელოვანი და სანდო პარტნიორია ნებისმიერი ინვესტორისათვის.

ნიკა გილაური ოფიციალური ვიზიტით დიდ ბრიტანეთში იმყოფება. საქართველოში გაუმჯობესებულ საინვესტიციო გარემოზე მან ლონდონში ინვესტიციებთან დაკავშირებულ ფორუმზეც ისაუბრა.

## აფხაზეთსა და ოსეთს დსთ-ში ეპატიჟებიან

**დსთ**-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი ლებედევი აცხადებს, რომ არ არის გამორცხული აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დსთ-ში გაწევრიანდნენ.

სერგეი ლებედევის განმარტებით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება თუ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დსთ-ში გაწევრიანებაზე თანხმობას დსთ-ს ყველა წევრი ქვეყანა განაცხადებს.

— დღეს მართალია ამაზე საუბარი ნაადრევია, იმიტომ რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მხოლოდ რუსეთის მიერაა აღიარებული, თუმცა როდესაც ეს აღიარება მოხდება შესაძლო იქნება უკვე იმაზე საუბრის დაწყება, რომ ეს ორი ქვეყანა დსთ-ში გაწევრიანდეს. რა თქმა უნდა იმ პირობით, რომ დსთ-ს ყველა წევრი ქვეყანა ამაზე თანახმა იქნება, — განაცხადა დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ სერგეი ლებედევმა.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სიმართლე კი ასეთია

# კიდევ ერთხელ ივანე ჯავახიშვილის წიგნის „საქართველოს საზღვრების" შესახებ

**90 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მეტად საყურადღებო და საჭირო წიგნი „საქართველოს საზღვრები" — ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული". სამწუხაროდ ამ წიგნს საბჭოთა ხელისუფლების დროს ტაბუ ჰქონდა დადებული და სამეცნიერო მიმოქცევაში ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა.**

მკითხველმა ისიც უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება გარკვეული დროის მანძილზე ივანე ჯავახიშვილს კარგი თვალით არ უყურებდა. 1926 წლის 21 ივანობისთვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს (აირჩიეს 1919 წლის 11 ღვინობისთვეს) და რექტორად დანიშნეს თევდორე ღლონტი (ეს იყო ბედის დაცინვა და ქართული მეცნიერების გაბიაბრუება). 1931 წელს ივანე ჯავახიშვილი საერთოდ დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. ეს უბედურებებიც არ აკმარეს და 1936 წლის გაზაფხულზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური დისკუსია მოაწყეს, რომელიც თითქოს ქართული საისტორიო მეცნიერების მდგომარეობის გასარკვევად ჩატარდა. სინამდვილეში კი მსჯელობის ძირითადი ობიექტი იყო იმდროინდელი ქართული საისტორიო მეცნიერული სკოლის მეთაურის ივანე ჯავახიშვილის „მსოფლმხედველობითი შეფასება".

ჩვენ ხელთაა საქართველოს საისტორიო არქივის საქმე (ფონდი 47ბ, საქმე 45, ფურცელი 1-333ძ — დისკუსიის სტენოგრაფიული ჩანაწერი. აი რას ამბობს დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე ივანე ჯავახიშვილის წიგნზე „საქართველოს საზღვრები" და თვით ავტორზე: „წინამდებარე მონოგრაფია მხოლოდ საქართველოს საზღვრებს არკვევს ისტორიულად; თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ საზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში და რანაირად უნდა შემოისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები ამჟამად. მენშევიზმის ქურქში გამოხვეული პროფესორი ჯავახიშვილი ცდილობს საზღვრების დაცვისათვის ყველაფერი შეასრულოს, დათმოს საქართველოს მენშევიკური დამოუკიდებლობისათვის ყოველივე, მაგრამ ის არ ცდილობს ისე განაზოგადოს, ამით ფარდა ახადოს „მონურ" სიბნელეს და მენშევიკურ ბუნებას, ერის პოლიტიკური უფლების საკითხი ჯავახიშვილისათვის საზღვრებია და არა მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლა, ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა მათი განთავისუფლებისათვის ექსპლუატატორებისაგან. ბოროტად გაგებული სტალინური დებულება ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ... პროფ. ჯავახიშვილმა ანტიმარქსისტული, ანტილენინური, ანტისტალინური დებულებებით გაჟღენთილი შრომები მოგვცა და მას შემდეგ არ უცდია ეღიარებინა მის მიერ დაშვებული ეს უდიდესი შეცდომები".

— ვფიქრობ, ამის შემდეგ საკვირველი არ უნდა იყოს, ივანე ჯავახიშვილმა არსად რომ არ აღნიშნა მისი წიგნისა და საქართველოს საზღვრების რუკის თავს გადამხდარი მწარე ამბავი. ამის შემდეგ საოცარია ისიც, თუ როგორ გადაურჩა ბატონი ივანე ჯავახიშვილი დაპატიმრებას.

გაზეთმა „ასავალ-დასავალმა" 2009 წლის 23-29 ნოემბრის ნომერში (№47ძ გამოაქვეყნა წერილი ასეთი ანშლაგით: „ასავალ-დასავალი" წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის ზე-აკრძალულ ნაშრომს საქართველოს საზღვრების შესახებ. გაზეთის 2, 4, 6, 8, 10, 12 გვერდებზე დაბეჭდილია „საქართველოს საზღვრების" ტექსტის ერთი ნაწილი. დასასრული იქნება შემდეგ ნომერში."

დიდ ბოდიშს ვუხდი ყველას, მაგრამ ამ ტექსტისა და რუკის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მაქვს შენიშვნა, რაც მკითხველმა აუცილებლად უნდა იცოდეს და ის აუცილებლად უნდა წამძღვარებოდა აღნიშნულ ტექსტს. გაზეთში გამოქვეყნებული მასალიდან ისე გამოდის, რომ ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა მე-12 ტომის გამოცემამდე — 1998 წლამდე — მისი ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" სამეცნიერო მიმოქცევაში არ ყოფილა და ქართველ მკითხველს არ სცოდნია იგი. მართალი გითხრათ, როდესაც გაზეთში პუბლიკაციის შესავალი წავიკითხე, სახტად დავრჩი. დიდი მეცნიერის თხზულებათა XII ტომში „საქართველოს საზღვრების" ისტორიული რუკების გამოქვეყნებაში წვლილი მეც მიმიძღვის, რაც წიგნის 497-ე გვერდზე არის კიდეც აღნიშნული, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ. როგორც ვთქვი, XII ტომი 1998 წელს გამოიცა. ორი წლით ადრე, **1996 წელს, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით, „საქართველოს საზღვრები" წიგნად გამოვეცი (საკუთარი ხარჯით) 2000 ეგზემპლარი, ჩემს მიერ მიგნებული ბატონ ივანეს მიერ ქართულ და ფრანგულ ენაზე შესრულებული რუკებით.**







რუკის ფრანგული ვარიანტი აღმოვაჩინე არქეოლოგ გაიოზ ჯავახიშვილის ოჯახში, სადაც დაცული იყო ყიფიანების გვარის მდიდარი არქივი (დღეს ამ არქივის ერთი ნაწილი ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილების ფონდში, მეორე ნაწილი — კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშიძ, რუკის ქართულ ვარიანტს მივაგენი თბილისში, ერთ-ერთ ძირძველ ქართულ ოჯახში. ჯერჯერობით მხოლოდ ეს ერთადერთი რუკაა მიგნებული.

ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრების" ჩემს მიერ ცალკე წიგნად გამოცემასთან დაკავშირებით 1996 წელს, გაზეთმა საქართველოს რესპუბლიკამ" დაბეჭდა ვილენ მარდალეიშვილის ვრცელი წერილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც უძღვებოდა აწ განსვენებული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე. სასაზღვრო ჯარების მაშინდელმა უფროსმა გენერალმა ჩხეიძემ 200 ცალი წიგნი წაიღო თავისი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის. წიგნის გამოცემა მაღალ დონეზე შეაფასეს პროფესორებმა: დავით გეგეშიძემ, ლევან ფრუიძემ და თენგიზ ჩხეიძემ. გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" (რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილიძ გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილისეული „საქართველოს საზღვრების" ორივე რუკა და წერილი წიგნის შესახებ.

მე შეგნებული მქონდა ამ წიგნის მეტად დიდი მნიშვნელობა ჩვენი ისტორიისთვის. ამიტომ გადავწყვიტე მისი რუსულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ეს მისია ჩემი თხოვნით შეასრულა აწ გარდაცვლილმა ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ. წიგნი რუსულ ენაზე უსახსრობის გამო მხოლოდ 200 ეგზემპლარით გამოვეცი.

ამ ტექსტის გამოქვეყნება „ასავალ-დასავალს" რატომღაც სენსაციად მიაჩნია და თავი ამ საქმეში პირველი ჰგონია. არადა, ეს ასე არ არის. რამდენიმე წლის წინათ, ქვეყანაში დიდი არეულობა რომ სუფევდა, გაზეთმა „შანსმა" დაბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ამ წიგნის სრული ტექსტი. ძალიან კარგად მახსოვს როგორ გადადიოდა გაზეთის ეს ნომრები ხელიდან ხელში. მაშინ გაზეთ „შანსის" რედაქტორი ბონდო ქურდაძე იყო.

წიგნის რუსულ ენაზე დიდი ტირაჟით გამოცემა აუცილებელია, მაგრამ მე ეს ვერაფრით ვერ მოვახერხე. სხვათა შორის, ადრინდელ პარლამენტში ცნობილი ფეხბურთელის ვლადიმერ გუცაევის საშუალებით მივიტანე „საქართველოს საზღვრები" ქართულ და რუსულ ენაზე, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო. კომიტეტთა თავმჯდომარეების ნოდარ გრიგალაშვილისა და ბესარიონ ჯუღელის დაპირება ქარმა წარიტაცა.

ახლა კიდევ ორიოდე სიტყვა რუკების შესახებ. ივანე ჯავახიშვილისეული საქართველოს ისტორიული რუკის ფრანგული ვარიანტი 1919 წელს პარიზშია გამოცემული და თან ერთვის ანდერ იბელსის მცირე მოცულობის წიგნს „გავათავისუფლოთ საქართველო".

ბატონი ივანე ჯავახიშვილი თავისი წიგნის ბოლოსიტყვაობაში წერს: **„ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროსს პროფ. გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ".** სინამდვილეში ამ წიგნს რუკა არ ერთვოდა და არც შეიძლება დართვოდა. დახედეთ რუკაზე მე-9 პირობით ნიშანს და ყველაფერი ნათელი გახდება. იქ წერია „საქართველოს საზღვრები რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს". რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1920 წლის 7 მაისს, ივანე ჯავახიშვილის ეს წიგნი კი გამოიცა 1919 წელს, ფაქტობრივად რუკის გარეშე, ხოლო რუკის ქართული ვარიანტი გამოცემულია 1920 წლის მაისის შემდეგ, რასაც რუკაზე არსებული პირობითი ნიშანიც გვიდასტურებს.

ასეთია მოკლედ ამ მცირე მოცულობის და დიდად საჭირო წიგნის ისტორია.

**დურმიშხან ცინცაძე**

## კონკურსი

# ჩვენი ღირსების აღსადგენად

> „საჭიროა პროვანსის ერთი საღამო, მომხიბლავი კონცხი და მარილის გემო იმის მისახვედრად, რომ ყოველივე ჯერ კიდევ შესაქმნელია“
>
> **ალბერ კამიუ**




**მასობრივი კულტურის დიქტატი დღეს უკვე საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე ვრცელდება. მხოლოდ ფუნდამენტური რელიგიები და მიუწვდომელი აკადემიური წრეები თუ უძლებენ მის ყოვლისმომცველ შემოტევებს. მასის გემოვნებამ თვალშისაცემად დაიმორჩილა ინფორმაციის საშუალებები, კინო, თეატრი, სალიტერატურო ცხოვრება. ჯანსაღი იდეალები საერთოდ განიდევნა ჩვენი ყოფიდან, ამის გამო საზოგადოება ინდიფერენტიზმის და კონფორმიზმის ჭაობში ჩაეფლო. დინამიზმი სტატიკამ შეცვალა, მოძრაობა კი – უძრაობამ. ასეთ პირობებში ძნელი არ არის იმის შემჩნევა, თუ როგორ ჩამოყალიბდა კრიზისული საზოგადოება და მისი განუყრელი პირმშო – კრიზისული ადამიანი.**

ამ კუთხით დასავლეთმა კარგა ხნის წინათ გამოიტირა თავისი თავი. მაგრამ მძლავრმა ტექნოლოგიურმა ნახტომებმა ახალი სიცოცხლე შთაბერა ევროპულ სამყაროს, რომელიც დღეს ნელა, მაგრამ ენერგიულად ცდილობს თავი დააღწიოს იაფფასიან ღირებულებებს და ხელახლა გააცოცხლოს თავისი ისტორიული კულტურის დამზრალი ფესვები. ,,საკმარისია პროვანსის ერთი საღამო, მომხიბლავი კონცხი და მარილის გემო, იმის მისახვედრად, რომ ყოველივე ჯერ კიდევ შესაქმნელია,“ „– ეს სიტყვები ალბერ კამიუს ეკუთვნის, ,,აბსურდის ფილოსოფიის“ მქადაგებელს და ღრმა ნიჰილიზმით გულამღვრეულ მოაზროვნეს. ამიტომ მით უფრო დასაფასებელია ის ფაქტი, რომ თავის დროზე სწორედ კამიუს ეყო ძალა, შეენარჩუნებინა რწმენა ადამიანისა, რომლის შერეული არქეტიპიც მუდამ იზიდავს ხოლმე ყველა სულიერს: ,,ისტორიის გულის სიღრმეებში პრომეთეს თანამოსანგრენი ისე რომ, წუთითაც არ წყვეტენ მძიმე შრომას, თვალს არ აშორებენ მიწას და ბალახს. მიჯაჭვული გმირი ჭექა-ქუხილშიც ინარჩუნებს ღრმა რწმენას ადამიანის სიდიადისა. ამიტომ უფრო შეუვალია, ვინემ მისი კლდე, უფრო მომთმენი, ვინემ მისი ძერა“.

სადაც ამგვარი რწმენა არ ღვივის, სადაც ადამიანი ასე მასშტაბურად არ განიცდის თავისი სიცოცხლისუნარიანობის ეგზისტენციალურ უწყვეტობას, - იქ სულიერი უდაბნო აღმოცენდება და ისტორიის სუნთქვა ჩერდება.

უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ქართული საზოგადოება სწორედ ასეთი უდაბნოს პირისპირ დგას. იგი გადაეჩვია არა მხოლოდ მოძრაობა-მოქმედებას, არამედ სიღრმისეულ ფიქრსა და განსჯას. ალბათ ამიტომ არის, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა „საზოგადო ჭირზე“ ახლა ჩვენში თითქმის არავინ წერს, არ ჩანს ახალი იდეები, არ მიმდინარეობს აზრთა ჭიდილის პროცესი. ერთი სიტყვით, – ,,არსაიდან ხმა, არსით ძახილი“... შთაბეჭდილება იქმნება, რომ ინტელექტუალურმა წრეებმა ნებაყოფლობით უარი თქვეს თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებაზე და მთელი ასპარეზი მასებს, მასობრივ სუბკულტურას და მის პრიმიტიულ მიდრეკილებებს დაუთმეს. ეს უკანასკნელი კი, რამდენადაც იგი საერთოდ არ ცნობს არავითარ იერარქიას და ფუნდამენტური ისტორიული ღირებულებებისადმი თანდაყოლილი კომპლექსებით არის შეპყრობილი, – იოლად მკვიდრდება ,,გამოთავისუფლებულ ადგილზე“ და საზოგადოებას თავის პირობებს უკარნახებს.

ქართული კრიზისული ადამიანი დღეს გაცილებით მძიმედ და გულისმომკვლელად გამოიყურება, ვიდრე მისი ევროპელი წინამორბედი. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი საბოლოოდ მხოლოდ ამ უკანასკნელის ეპიგონად და უბადრუკ მიმბაძველად ჩამოყალიბდა. დასავლურ ღირებულებათა შორის ამჯერად მას იტაცებს არა სულიერებით აღსავსე ღრმა კულტურულ-ისტორიული გამოცდილება, არამედ ,,ევროპული დაისის“ შემდგომი დაცემის ატმოსფერო, გარემო, სადაც თავისუფლება კარგა ხანია გასცდა ქრისტიანული წესრიგით დადგენილ საზღვრებს და სადაც ამგვარმა ყოფიერებამ დიდი ხანია, რაც ყველაფერი ნებადართული გახადა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მასის ტოტალური ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანი დღეს იშვიათი გულგრილობით შეჰყურებს ჩვენი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინსტიტუტების ხელყოფას. უფრო მეტიც: მან ღიად და აშკარად ზურგი აქცია მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ღირებულებებს და დიდი მონდომებით დაწვა მასთან დამაკავშირებელი ხიდები. ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დამღუპველი პროცესის მფარველად და წამქეზებლად, ჩვენში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ არსებული ხელისუფლება გამოდის. მაგალითად: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან თითქმის ყოველდღიურად იღვრება ასეთი ,,კანონიერი სიამაყით“ აღსავსე შეძახილები: ,,ასეთი პარკი არ აქვს არც რუსეთს, არც რომელიმე ჩვენს მეზობელს, არც ჩეხეთს, არც ბულგარეთს და არც რომელიმე სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანას“ (მ. სააკაშვილი)“. ალბათ, თვით ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი რომელიმე ჩვენგანი, ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე დადგებოდა დრო, როცა ქართველი კაცი ჩვენს ყველაზე შთამბეჭდავ ეროვნულ მიღწევად გამოაცხადებდა არა გელათს და ვარძიას, არა ,,ვეფხისტყაოსანს“ და ,,სტუმარ-მასპინძელს“, არა ,,კაცია-ადამიანს“ და ,,თორნიკე ერისთავს“, – არამედ გურიის ერთ სოფელში სახელდახელოდ დამონტაჟებულ იტალიურ ატრაქციონებს...

> **ეროვნულ-კულტურული ცნობიერების შეგნებული დაკნინებისკენ მიმართულ ასეთ ტენდენციას სულ ახლახან ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა საკმაოდ ეფექტური პროექტი დაუპირისპირა. საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესმა, ეროვნულ მწერალთა კავშირთან ერთად, ფართო მასშტაბის შემოქმედებითი კონკურსი გამოაცხადა. დაარსდა ისტორიულ-ლიტერატურული პრემია ,,დავით აღმაშენებელი“, რომლის საპრიზო ფონდი ერთობ შთამბეჭდავად გამოიყურება.**

ეროვნულ-კულტურული ცნობიერების შეგნებული დაკნინებისკენ მიმართულ ასეთ ტენდენციას სულ ახლახან ქართული საზოგადოების ერთმა ნაწილმა საკმაოდ ეფექტური პროექტი დაუპირისპირა. საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესმა, ეროვნულ მწერალთა კავშირთან ერთად, ფართო მასშტაბის შემოქმედებითი კონკურსი გამოაცხადა. დაარსდა ისტორიულ-ლიტერატურული პრემია ,,დავით აღმაშენებელი“, რომლის საპრიზო ფონდი ერთობ შთამბეჭდავად გამოიყურება.

კონკურსი მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურის პრესტიჟის ამაღლებას, აგრეთვე მისი სოციალური მნიშვნელობისა და მორალურ-ეთიკური შინაარსის გაფართოებას. საგულისხმოა, რომ კონკურსში მონაწილეობისთვის დაიშვება მხოლოდ საქართველოს ისტორიის ამსახველი ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები, რითაც კარგად მჟღავნდება ამ აქციის პატრიოტული ხასიათი.

ქართული მწერლობის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, კონკურსის ჩატარება უთუოდ გამოიწვევს საქართველოს ისტორიისადმი მკითხველთა ფართო ფენების ყურადღების გამახვილებას, მამულიშვილური გრძნობებით ახალგაზრდობის გამსჭვალვას და ისტორიულ მოღვაწეთა ღვაწლის კიდევ ერთხელ აღიარებას.

,,როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლათ უწინარეს იმას იკითხავს – რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი“. (ილია). ბრძენკაცის ეს სიტყვები მარადიული ჭეშმარიტების შემცველელია და რაიმე კორექტივის შეტანას ნამდვილად არ საჭიროებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დავით აღმაშენებლის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსი კიდევ ერთხელ გამოაჩენს ქართველი ერის მართლაც უკვდავ ღირებულებას და სიდიადეს.

**ვახტანგ ციციშვილი**

> **გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, ითვალისწინებს რა სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის – „დავით აღმაშენებლის“ დაარსების დიდ ეროვნულ-კულტურულ მნიშვნელობას, ქვემოთ სრულად აქვეყნებს პრემიის დებულებას, რათა კონკურსს მეტი საჯაროობა მიენიჭოს და მასში მონაწილეობა მიიღოს ჩვენი საზოგადოების რაც შეიძლება დიდმა ნაწილმა.**

## სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემია

# „დავით აღმაშენებელი“

### 2009-2010 წლის კონკურსის

# დებულება

**პრემიის დამფუძნებელი საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი – ალექსანდრე ებრალიძე**

**პრემიის თანადამფუძნებელი საქართველოს მწერალთა კავშირი**

**კონკურსის ჩატარების ვადები 2009-2010 წწ**

### ზოგადი დებულებანი

სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემია „დავით აღმაშენებელი“ გაიცემა ღია შემოქმედებითი კონკურსის საფუძველზე.

კონკურსის მიზანია: საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება საქართველოს ისტორიის და ისტორიულ თემაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებისადმი, ღვაწლმოსილ მამულიშვილთა ცხოვრების გაშუქება და მათი როლის წარმოჩენა.

### კონკურსის ამოცანაა:

- ქართული ლიტერატურის პრესტიჟის ამაღლება, მისი სოციალური მნიშვნელობისა და მორალურ-ეთიკური შინაარსის გაფართოება.
- საქართველოს ისტორიისადმი მკითხველთა ფართო ფენების ყურადღების გაღვივება, ახალგაზრდა თაობის პატრიოტული აღზრდის შემდგომი სრულყოფა.
- საქართველოს ისტორიის ამსახველი მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების გამოვლენა და პოპულარიზაცია;
- ისტორიულ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფა, ქართული სახელმწიფოს განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილის ხაზგასმა და საერთო სახალხო აღიარება.

სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემია „დავით აღმაშენებელი“ კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ ყოველწლიურად, 8 თებერვალს, წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

### პრემიის მიმნიჭებელი კომისია

პრემიის მიმნიჭებელი კომისია არის მისი საზოგადოებრივი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების განხილვა, ლაურეატების განსაზღვრა და დებულებაში ტექნიკური და სამუშაო ხასიათის ცვლილებათა შეტანა.

პრემიის მიმნიჭებელი კომისია შედგება 5 მუდმივი წევრისაგან, რომლებსაც წარადგენენ პრემიის დამფუძნებლები, და აგრეთვე დროებითი წევრებისაგან, რომლებსაც კომისიის თავმჯდომარე იწვევს კომისიის მუშაობაში მონაწილეობისთვის.

კომისიის თავმჯდომარის და თანათავმჯდომარის არჩევა ხდება კომისიის წევრების ხმათა უმრავ-



ლესობით, პრემიის დამფუძნებლებთან შეთანხმების საფუძველზე. ისინი პასუხისმგებელნი არიან კომისიის მუშაობის ორგანიზებაზე, პირადად ან მოადგილეთა მეშვეობით ატარებენ სხდომებს და მონაწილეობას ღებულობენ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალში.

კომისიის წევრებთან შეთანხმებით კომისია მისი შემადგენლობიდან ნიშნავს აღმასრულებელ მდივანს, რომლის მოვალეობაა კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება.

პრემიის მიმნიჭებელი კომისია რეგულარულად ავრცელებს ინფორმაციას თავისი მუშაობის და სამომავლო ღონისძიებების შესახებ.

### დებულებანი ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოებების კონკურსის შესახებ

კონკურსზე ნაწარმოებთა წარდგენის უფლება აქვთ კერძო პირებს, შემოქმედებით კავშირებს, გამომცემლობებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ლიტერატურულ, ჟურნალისტურ და სარედაქციო საქმიანობასთან.

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნაწარმოები – მოცულობით არანაკლებ 5 (ხუთიძ პირობითი ნაბეჭდი გვერდისა. ნაწარმოები უნდა ეძღვნებოდეს ისტორიულ მოღვაწეს, ან უნდა ასახავდეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის მებრძოლ სულისკვეთებას.

განსახილველად დაიშვება ის ნაწარმოებები, რომლებიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, გამოცემულია პრემიის გადაცემამდე არაუგვიანეს 3 თვით ადრე და მოიცავს საქართველოს ისტორიის პერიოდს უძველესი დროიდან გასული საუკუნის შუა პერიოდამდე.

კონკურსზე წარსადგენად გამოქვეყნებული ნაწარმოები 2009 წლის 15 დეკემბრამდე უნდა გაიგზავნოს (ან ჩაბარდესძ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის საქართველოს ფილიალის ოფისში მისამართზე – თბილისი 0177, ალ. ყაზბეგის გამზირი №29, წარწერით – „დავით აღმაშენებლის პრემია“, ორ ეგზემპლარად, ასევე განაცხადი და ავტორის (ავტორთაძ ანკეტა.

კონკურსზე დაშვებული ყველა ნაწარმოები ღებულობს სარეცენზიო ჯგუფის შეფასებას. სარეცენზიო ჯგუფის ფორმირება ხდება პრემიის მიმნიჭებელი კომისიის მიერ და მოქმედებს სარეცენზიო ჯგუფის შესახებ დებულების შესაბამისად. რეცენზიები არ ქვეყნდება და კონკურსის მონაწილეებს არ ეგზავნება.

### სარეცენზიო ჯგუფი

სარეცენზიო ჯგუფი არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იხილავს და აანალიზებს კონკურსზე წარმოდგენილ ნაწარმოებებს. იგი შეიმუშავებს და პრემიის მიმნიჭებელ კომისიას წარუდგენს რეკომენდაციებს მომავალი ლაურეატების შესახებ.

სარეცენზიო ჯგუფის შემადგენლობას განსაზღვრავს სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის „დავით აღმაშენებელი“ მიმნიჭებელი კომისია. ჯგუფი შედგება 5 წევრისაგან. მასში შედიან ლიტერატურის კრიტიკოსები და ისტორიკოსები. სარეცენზიო ჯგუფი იქმნება მიმდინარე კონკურსის პერიოდისთვის.

### პრემიის ლაურეატთა განსაზღვრა

პრემიის ლაურეატების განსაზღვრა ხდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, სარეცენზიო ჯგუფის მიერ გაკეთებული დასკვნებისა და პრემიის მიმნიჭებელი კომისიის მოსაზრებათა საფუძველზე, ღია კენჭისყრით, პრემიაზე წარდგენილი კანდიდატებიდან დგება შესარჩევი სია, რომელშიც შედის კონკურსის ლაურეატობის ცხრა მაძიებელი. მეორე ეტაპზე პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრთა ხმის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, ხდება კონკურსის პირველი, მეორე და მესამე პრემიების ლაურეატთა განსაზღვრა.

პრემიის ოფიციალური გადაცემის ცერემონიამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, პრემიის მიმნიჭებელი კომისია აცხადებს ლაურეატთა შერჩეული სიის შემადგენლობას.

პირველი, მეორე და მესამე პრემიის ლაურეატთა სახელები ცხადდება პრემიის გადაცემის ცერემონიაზე.

### სპეციალური პრემია ჟურნალისტებისთვის

სპეციალური პრემია ჟურნალისტებისთვის „თანამოკალმე“ გადაეცემა ჟურნალისტს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციაში, მისი პრესტიჟის ამაღლებაში, კულტურულ-ისტორიული აზროვნების განვითარებაში.

### საპრემიო ფონდი

საპრემიო ფონდი შეადგენს 95 000 ლარს.

1-ლი პრემია – 25 000 ლარი
მე-2 პრემია – 20 000 ლარი
მე-3 პრემია – 15 000 ლარი

პირველი სამი პრემიის ლაურეატები ასევე დაჯილდოვდებიან სამახსოვრო მედლებით, წმინდა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით.

შერჩეულ სიაში მოხვედრილი ლაურეატების ფულადი პრემია შეადგენს 5000 ლარს თითოეულისთვის.

ჟურნალისტი, რომელსაც მიენიჭება სპეციალური პრემია „თანამოკალმე“, ჯილდოვდება ფულადი პრემიით 5000 ლარის ოდენობით.

### პრემიის გადაცემის ცერემონია

პრემიის გადაცემის ცერემონია უკავშირდება წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება 8 თებერვალს.

პრემიის გადაცემის ცერემონიის ადგილს განსაზღვრავს კომისია, პრემიის დამფუძნებლებთან შეთანხმებით.

პრემიის გადაცემის ცერემონიის ხარჯებს, ასევე პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებსა და საფასურს ანაზღაურებენ პრემიის დამფუძნებლები.

პირველი ხარისხის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია – „დავით აღმაშენებელი“– ავტორს ენიჭება მხოლოდ ერთხელ.

მთვარისა კერესელიძე

წიგნი რჩეულიდან

# დავბადებულვართ რადგან ქართველად!

...
გზაზე შემომხვდა პირიმზე
დილის ცისკარის ღიმილზე,
ცვრიან ბალახზე მროკველი,
გზაზე შემომხვდა პირიმზე,
ლომის პატარა ბოკვერით.
გზაზე შემომხვდა პირიმზე,
ლომის პატარა ბოკვერით,
ლომის პატარა ბოკვერი, –
ხანჯალსა ჰგავდა მოკვერილს.
მთა-მთა მივდევდი ბილიკებს,
ცვარ-მარგალიტი ტოკავდა,
სახე გაბადრულ პირიმზეს,
ლომის ბოკვერი მოყავდა.
მისი ოჯახი აშენდა,
ღირდა სიცოცხლის შეწირვად,
მხრებზე მზე დასთამაშებდა,
ხელში სამყარო ეჭირა.

## წადი, წაშავდი ყორანო

ირემ რად მაჰკალ ხარ-ლაღი
მთის სილაღე და მშვენება,
თუ ირმის ხორცით გალაღდი,
თუ ირმის სული გენება!
დაჰკიდე სული გრძნეული,
ე მაგ კლდის ქიმზე დროშადა,
სული, სილაღეს ჩვეული,
დღეს არ ღირს კაპიკ-გროშადა,
ანდა წყეული, ფრთაშავი
ყორანი საით მოშავდა,
ან დიაცივით თვალშავი,
რას ყეფდა, რასა როშავდა!
წადი, წაშავდი ყორანო,
გული დახურა შალშავმა,
გაფრინდა შავი ყორანი,
ხევები ჩააფრთაშავა.

* * *

ეს ქედები ნისლში როა,
ცა ახურავს არავისი!
წაგვეკიდოს, რითმის ტროა,
გულში დაუფარავისი!
რას მიყურებ! – უკვე დროა,
ვალი? – თითქმის, არავისი!
მამულს, გაყიდული როა,
ამ სამეფო კარავისი!
დაუბრუნდეს, უკვე დროა,
მოკვეთილი მკლავი თვისი,
წაგვეკიდოს, გულში ტროა,
კრწანისის და მარაბდისი!
მამულს, გაყიდული როა,
მეისრესა, მეისრისად –
და მიეზღოს, უკვე დროა,
კეისარსა კეისრისა!

2002 14.01

* * *

სად ნახავ დღეს ადამიანს,
მითხარი, ადამიანო?!
დღეს ყველა ჯურის მასხარა,
ტაკიმასხრობს და ხმიანობს,
მაგრამ ალგეთზე დედანი,
ლეკვებს ისევე ზრდიანო,
„წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო“.

2002. 21.IX

## აურაცხელი გასულან წლები

აურაცხელი გასულან წლები,
სულ ყვავ-ყორნები გულ-ღვიძლს
გვკორტნიდა,
და დამსხვრეული, დამტყდარი
ფრთებით,
ჩვენი ფესვიდან ისევ მოვდივართ!
შვილთა სიმრავლეს უფალს
ვვედრებდით,
დედის ცრემლები ზეცას ხატავდნენ,
რადგან კედლებშიც, ციხის კედლებშიც,
სიმაგრისათვის ჩვენვე გვატანდნენ!

## ქართლის ველები...

„უფროსმა ძმებმა“ კიდევ ერთხელ
გადაგვიარეს,
ცეცხლს მისცეს ჩვენი ნაფერები
ქართლის ველები!
დღეს საქართველო კვლავ იშუშებს
ახალ იარებს,
ნატყვიარი და დამსხვრეული,
დამწვარ ხელებით.
ქართლის ველები გადამწვარი
ბოლავს ისევე,
ისევ ბოლავენ ქართლის ველები...
დასრიალებენ, და... ათასგვარ
ძაღლებს გვისევენ,
დასრიალებენ ათასგვარი ჭრელი
გველები!
ქართლის ველებზე ჯერ ისევე
მტერი გრიალებს,
დაჯეჯილობენ ისევ სვავები!
და მოთმინებაც სადაცაა უკვე იალებს,
შერყვნეს, შერაცხეს ჩვენი წმინდა
სალოცავები!
ბევრჯერ გადაგვწვეს, აგვაოხრეს,
რაა ახალი?
განა ეს იყო ერთად-ერთი ჩვენი
დარბევა?!
ბოლავს ველები ნაყივჩაღარი,
და ჟრუანტელი უვლის სატევარს!
...
დაესიზმრება ზამბახები მაისის ღამეს,
ანგელოსების ლურჯი ფრთებიდან,
ქართლის ველები წამოდგება
ნანგრევებიდან!
და ყვავ-ყორნები ჩაჰყივიან
კავკავის ხრამებს!



დამწვარი მიწა მოიშუშებს ისევ იარებს,
„რუსმა ძმებმა“ რომ გადაგვიარეს!
...
ჩვენ კი შევივლოთ ხელი ისევ
პაპის სატევარს,
ისევ აშენებს ახლა ქართლი
საღვთო კერიას!
ქართველს გაქრობა არასოდეს
არ უწერია,
ქართველს! – ვაების, ჭირ-ვარამის
ბევრჯერ დამტევარს!
ცხელი ნაცრიდან გაიღვიძებს კვლავ
რილო-ჭრილო,
ტყუილად ცდილობთ, ჩვენს
მოსპობას –
ტყუილად ცდილობთ!!!

## დავბადებულვართ რადგან ქართველად!

ტალიავინის დასკვნის გამო

დავბადებულვართ რადგან
ქართველად,
მუხის ფესვიდან, მუხის ყლორტიდან,
რადგან არწივის ვიცი, მართვე ვართ,
და ათასწლეულ გზებით მოვდივართ...
იის ფესვიდან ამოსულ იას,
ვარდის ძირიდან ამოსულ ვარდებს,
სალი კლდეების დეკას და ღვიას,
და მყინვარების ფრთაძლიერ მართვეს,
რა შეაჩერებს, ეს მრუმე სიტყვა
თუ ათასფერი ატლასი, ფლასი?
რაც სათქმელია, ხომ უნდა ითქვას,
რომ ჰქონდეს მეტი წონა და ფასი!
რომ ჰქონდეს მეტი ფასი და წონა,
უმჯობესია აზრთა კრებული,
ვის რაში უნდა საწყალი მონა,
უმწეო პატრონს მიჩერებული!

## რას მედავები?!

რას მედავები, რად არ ცხრები
ბოლოს და ბოლოს,
მიჭრი ბილიკებს და აპყრობილს
ცისაკენ ხელებს,
მე როცა წავალ, ლექსებიც რომ თან
გავიყოლო,
შენ ვისი ცეცხლით გათბები მერე?!
სინამდვილეში დასასჯელი არ იყო
ქრისტე,
სინამდვილეში დასასჯელი იყო ბარაბა,
მაგრამ სიმართლეს სათნოებით
თუ უნდა მისწვდე,
გამოიხურა სამართალმა მაშინ დარაბა.
რატომ გგონია, შენი აზრი ყველას
სჯობია,
რომ მხოლოდ შენთვის არსებობდა
ქვეყნად ყოველი,
ჩახმახზე მჯდარი საქართველო
შენთვის თოფია,
შენთვის აიგო არმაზი და
სვეტიცხოველი?!
ზურგის ქარია სანატრელი,
ქარი სატივე,
ზურგის ქარია, იასამნის ქარი, სანდომი,
ო, ღმერთო ჩემო, შენ შემინდე,
შენ მაპატიე,
შენ მაპატიე, თუ ოდესმე რამეს
ვნატრობდი!
სინამდვილეში დასასჯელი
არ იყო ქრისტე,
სინამდვილეში დასასჯელი იყო ბარაბა!
მაგრამ სიმართლეს სათნოებით
თუ უნდა მისწვდე,
გამოიხურა სამართალმა მაშინ,
დარაბა!

## გაქრა ეპოქა

პირამიდების, ქვაბულების,
სარკოფაგების,
გაქრა ეპოქა, ღვთაებრივი ნიჭით
ნაგები!
სტავრად და ფარჩად განფენილა
აღმა და დაღმა,
რომ უკეთ ნახოს იმ დღის სახე
ამა დღის ხალხმა.
და ფარშავანგის ბოლოებით
მიმობნეული,
აქ, ამ ქვიშაში იმალება მთვარის
სხეული.
აწ გარდასული, დიდებული
დეკორაცია,
დღევანდელობას ქვის გამოთლილ
კაბად აცვია.
პირამიდების, ქვაბულების,
სარკოფაგების
გაქრა ეპოქა, ღვთაებრივი ნიჭით
ნაგები!

## საუბარი ნარგიზა მგელაძესთან

– ამხელა პოეტი და...
ასე დაუფასებელი, –
არასოდეს მინახავს!
– ვინა ხარ?! – მეასედ მეკითხები:
– ვინა ხარ?!
– რა ვიცი ვინა ვარ,
რა დავიჩემო, ნარგიზა!–
მართალი კაცი რას ვიზამ? –
დღეს?!
ვისაც კი არ ეზარება, –
სუყველა მიშლის ხელს!
ვისაც კი არ ეზარება,–
ყველა მიკეტავს გზას,
ვისაც კი არ ეზარება, –
თითო მუჯლუგუნს მკრავს!
ვისაც კი არ ეზარება, –
მკლავს და... მაინც არ ვკვდები,
მაინც ცოცხალ ვარ ისევე
მკლავენ, – ისევე ვდგები!
მგლებს ძაღლებივით მისევენ –
ჩასაფრებული მტრები,
მკლავენ, მკლავენ და ისევე
ორთავე ფეხზე ვდგები!
დღეში ათასჯერ მიზავებს,
ცხოვრება ათას შხამს!
შიგნიდან, გულის ფიცრამდე,
მოკეთე, მოძმე მხრავს...
მაგრამ ვიდრე არ ვიალებ,
მაინც არ დავხრი თავს,
ერთს ისეთს დავიღრიალებ,
რისხავდეს ათას სვავს,
კოცონად დავიბრიალებ,
ამოვანათებ მთას!
გულზე დავიყრი იარებს,
საქართველოის დარდს,
სული კოცონად იალებს,
მამულისთვის რომ მკლავს!
გულზე დავიყრი რითმებად,
ბუერებსა და გზას,
სულ ჩემი სული იქნება, –
ვარდი, – რომ მორთავს გზას!
მერე გავყვები ეკლიანს,
მერე გულმშვიდად მოვკვდები,
სულ ჩემი ანარეკლია,
მიწას რომ ხრავენ ბოკვრები!

* * *

ია-იების ნაფერებ ზეცას
აკაციების რად ადევს ფერი?
ან ბროწეულის ყვავილი ეცვას,
ან შეიმოსოს ყვავილით შქერის!
ამ მთა-ხევებით დამძიმებული,
აფეთქებული ატმის კოკრებად,
ან შეასკდება სიმღერას გული,
ანდა უთქმელი ლექსით მოკვდება!

2009. 15.X



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №159

# ბატონი გოგი დოლიძის „ღია წერილების“ პასუხად

**ბატონმა გოგი დოლიძემ ახლად-დასტამბული ჟურნალი „რაინდი“ გამომიგზავნა, რომლის რედაქტორიც და ჩემდამი მოძღვნილი სტატიის ავტორიც თავად გახლავთ.**

ამ ყველაფრისთვის მადლობას მოვახსენებ, მაგრამ ცოტა არ იყოს, დამაბნია პუბლიკაციის **„ღია წერილი ნინო ხოფერიას“** ფორმამ და ჟანრულმა თავისებურებამ. გაზეთში „24 საათი“ და ჟურნალში „რაინდი“ ბატონმა გოგიმ ერთი და იგივე შინაარსის და სათაურის ღია წერილები გამოაქვეყნა, როგორც თავად ბრძანებს, ამგვარი არგუმენტაციით:

1. „ეპისტოლურ ჟანრს იმიტომ მივმართე, რომ იგი ფრიად უხდება ნოსტალგიურ სამყაროს, თქვენ რომ მაზიარეთ იმ დღეს“.

2. „როცა პატივს ვცემ ადამიანს, მის ნაშრომს, შინ მისვლისას, თაროზე კი არ შემოვდებ, არამედ გულისყურით ვეცნობი და პირუთვნელ აზრსაც მოვახსენებ, ვინძლო შემდგომში გამოადგეს“.

ვფიქრობთ, ეპისტოლური ჟანრი, თეორიულ თუ ისტორიულ პოეტიკაში, საგაზეთო და საჟურნალო პოლემიკას არ გულისხმობს და საერთოდ, იგი პუბლიკაციისთვის არ არის გამიზნული, თუ არ წარმოვიდგენთ კომპოზიციურ-სტილისტურ ხერხს, როცა ეპისტოლე ფილოსოფიურ და ლიტერატურულ ტექსტებად იქცევა. ამგვარი მაგალითებია: ციცერონის, ჰორაციუსის, მონტესკიეს წერილები, ან პუშკინის „რომანი წერილებში“, ან თუნდაც, ნიკოლოზ მიწიშვილის „ფიქრები საქართველოზე“ და ა. შ.

თუკი ბატონ გოგის ამგვარი მაღალი მიზნები არ ამოძრავებდა, ვფიქრობთ, მისთვის ცნობილი „რაინდული კოდექსის“ გათვალისწინებით, შეეძლო ე. წ. „პირუთვნელი აზრი“ პირადად მოეხსენებინა, ტელეფონით თუ ინტერნეტით ეცნობინებინა, ან სულაც, მესამე პირის ხელით გამოეგზავნა ისე, როგორც ჟურნალი მიბოძა. მან კი რატომღაც საგაზეთო-საჟურნალო საჯარო მიმართვები არჩია. კეთილი, ნება მისია.

ბატონი გოგის მეორე არგუმენტის თანახმად, ჩემი წიგნები: გრ. რობაქიძისადმი მიძღვნილი კრებული „სიყვარული მესამე ნაპირზე“ და ბაბო დადიანის „მოგონებათა დღიური“ **„თაროზე არ შემოუდვია“, მაშინვე წაუკითხავს,** მაგრამ რატომღაც თავისი აზრი ერთი წლის მერე გაახმოვანა სხვადასხვა მედიის საშუალებით და თანაც ისე, რომ ვრცელ ტექსტებში არაფერს ამბობს პროექტების დანიშნულებაზე, კონცეპტზე, შემოქმედებით მხარეზე, ბეჭდური თუ აუდიომასალის შინაარსზე, დიზაინზე... აზრს არ გამოთქვამს მსახიობების ნამუშევარზე, თანდართულ აუდიოდისკებზე, რაც მისი პროფესიის ადამიანს, ალბათ, პირველ რიგში უნდა აღენიშნა.

მე, ბატონი გოგისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი პროფესია მაქვს, რაც, უპირველესად, იმის გაგებას ითვალისწინებს, სტრიქონებს იქით რა არის ნაგულისხმევი, ანუ „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს“... მეჩვენება, რომ ბატონი გოგის შეფასებანი ოდენ ცალმხრივია და მისი დაუსრულებელი საგაზეთო-საჟურნალო **„ღია წერილი ნინო ხოფერიას“** ჩემთვის გაუგებარ მიზანს ემსახურება.

**ბატონმა გოგიმ, თავის პუბლიკაციებში საჯაროდ და შემდგომ პიროვნებების საშუალებითაც, რამდენჯერმე მთხოვა წერილობით გამოვხმაურებოდი. მართალია, მე ამგვარი წერილის აუცილებლობას ვერ ვხედავ, მაგრამ მაინც, თხოვნაზე თავაზიანად ვპასუხობ, თუნდაც იმიტომ, რომ არ შევლახო მისი „რაინდული თავმოყვარეობა“.**

ახლა უფრო კონკრეტულად: გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი სიყვარულის – ავსტრიელი გრაფინიასადმი მიძღვნილი წერილები, ასლის სახით, ინახებოდა მწერლის პირად არქივში, ხოლო დედნები გრაფინია გიტა შტრახვიტცთან. რობაქიძე წერილებს უგზავნიდა გიტა შტრახვიტცს. როგორც ხედავთ, აქ სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვაა: შტრახ**ვიტცს,** შტრახვიტცი**სადმი**, შტრახვიტც**თან.** ბატონი გოგი კი მიგვითითებს, რომ უნდა იყოს მხოლოდ ამ ფორმით: **შტრახვიტცისადმი** და საილუსტრაციოდ კ. გამსახურდიას „წერილი დედისადმი“ მოაქვს. ანალოგიური შენიშვნები ბევრია.

ცნობილია, რომ ისე, როგორც კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძეც თავის სტილს ქმნიდა, რაც შესაძლოა, ზუსტად არ ერგებოდეს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებს.

**ბატონი გოგის ძირითადი შენიშვნები კრებულში გამოქვეყნებული რობაქიძის გერმანულენოვანი პირადი წერილების ქართულ თარგმანებს ეკუთვნის. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, რომ ოპონენტს თავდაპირველად მთარგმნელის – ქეთევან შერვაშიძის შრომის მასშტაბი შეეფასებინა. ნუთუ ყურადსაღები არ არის ის უდიდესი სამუშაო – რობაქიძის ორმოცდაცამეტი წერილის თარგმნა, რასაც წინ უძღოდა ორ ენაზე მოაზროვნე მწერლის ენობრივი ქსოვილის შესწავლა და გერმანული ენის წიაღში ადეკვატურის მოძიება. ისიც ცნობილია, რომ რობაქიძის ქართული თუ გერმანული ლექსიკა ტიპიური არ გახლავთ. უცხოელი სწავლულები მის გერმანულენოვან ტექსტებთან დაკავშირებით, ხმარობენ ეპითეტს „ენათქმნადოგა“, რაც თავისთავად დადგენილი ნორმებიდან გადახვევას და ახალი სტანდარტების ჩამოყალიბებას გულისხმობს.**

წიგნში არის კორექტურული შეცდომები და სხვათა შორის, იმაზე მეტი, რამდენიც ბატონ გოგის შეუნიშნავს და ამ დაკვირვებისთვის მადლობას მოვახსენებთ, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მისეულ ზოგიერთ სტილისტურ ჩასწორებას. მაგალითად, იგი თვლის, რომ უნდა იყოს **„კოსმოსური“** და არა **„კოსმიური“** (გალაკტიონის „კოსმიური ორკესტრი“ გავიხსენოთ), „მისტიკური“ და არა „მისტიური“, „ესთეტიკური“ და არა „ესთეტური“... ამ სიტყვებს პოეტურ მეტყველებაში ხომ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ.

კრებულში რობაქიძის ფრაზაა: **„სამწუხაროა, რომ ამ დედამიწაზე ჩემი შენდამი სიყვარულისთვის ასე ცოტა დრო დამრჩა“.**

ბატონი გოგი ბრძანებს, დედანში ჩახედვა არ არისო საჭირო. იქნებ ღირდეს:

Traurig
ist nur,dass mir auf dieser Erde für meine Liebe
zu Dir so wenig Tage bleiben!

ბატონი გოგი ამ წინადადების თარგმანის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს: **„სამწუხარო ისაა, რომ შენი სიყვარულის ასე ცოტა დრო დამრჩა ამქვეყნად“.** ეს ვფიქრობთ, უფრო ბატონი გოგი დოლიძის წერილის ფრაზას დაემსგავსება და არა რობაქიძისას და ამავე დროს, არც დედანს შეესატყვისება. რობაქიძე აქცენტირებულად აკონკრეტებს **„ამ დედამიწაზე“ (auf dieser Erde)** (მიუხედავად იმისა, რომ სამყაროში სხვა დედამიწის არსებობა ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით) და რატომ უნდა შევცვალოთ იმ განწყობის ნაკლებად გამომხატველი სიტყვით – „ამქვეყნად“?

ბატონ გოგის მოეხსენება, რომ გერმანულ ენაში ნაცვალსახელებს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია აკისრიათ და ამიტომ ნათარგმანებ მხატვრულ ქსოვილში **„ჩემი შენდამი სიყვარული“** არ უნდა გაუკვირდეს.

იმავე პუბლიკაციაში ბ-ნი გოგი, სრულიად სამართლიანად, დანტეს არასწორ ციტირებაზე მიუთითებს. სამწუხაროდ, მე დანტეს ორიგინალში ვერ ვკითხულობ. ამიტომ უკვე რეცენზირებული მასალა გამოვაქვეყნე. ხარვეზი მთარგმნელმა (გერმანულის სპეციალისტმა) წიგნის დასტამბვის მერე შეამჩნია და შეცდომების გასწორება, პატარა ბარათის სახით, იმავე კრებულში მოათავსა, რომელიც ასე გამოიყურება



L'amor che move il
sole es l'altre stelle
DANTE

L'amor che move il
sole e l'altre stelle.
DANTE

რაც შეეხება ბ-ნ გოგი დოლიძის შენიშვნას: **„მხატვარ-ფერმწერთა კავშირის“** შესახებ: აქ დეფისი უნდა დაიწეროს თუ ტირე, ვფიქრობთ, საგაზეთო-საჟურნალო პოლემიკის საგნად არ უნდა ვაქციოთ. ამისთვის ნურც სამოქალაქო თუ სამამულო ომებით დაღლილ ქართულ საზოგადოებას მოვაცდენთ და ნურც რაინდთა მთელ დასს შევაშფოთებთ. მთარგმნელის წინასიტყვაობის შინაარსი, რომელიც რობაქიძის პირად წერილებს ახლავს (გვ. 55) ბატონ გოგის რატომღაც ვერ გაუგია. იქ სწორედ იმაზეა აქცენტი, რომ რობაქიძის ინტიმური წერილები სრულიად გაუგებარ ვითარებაში იქნა წაკითხული, რომ არ იყო ელემენტარულად დაცული არც მწერლის არქივი და არც მისი საავტორო უფლებანი.

**სრულიად უსამართლოდ მიმაჩნია ბატონი გოგის შენიშვნა ქალბატონ ბაბო დადიანის „მოგონებათა დღიურის“ გამო, ვინაიდან ამ კრებულის ტექსტები, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელობით და იქნებ, ზოგჯერ, ვიღაცისთვის მიუღებელი სუბიექტივიზმით არის მნიშვნელოვანი და ღირებული... და თუ ქალბატონი ბაბო ბრძანებს: „მერი შარვაშიძე სხვა წრის ქალბატონი იყო და გალაკტიონი მის წრეში ვერასდროს შეაღწევდაო“, ამით არც გალაკტიონ ტაბიძეს ადგება ჩრდილი, არც მერი შერვაშიძეს და, მით უმეტეს, არც ქალბატონ ბაბოს. ბატონი გოგი კი ასკვნის: „ამდენად ჩრდილი უფრო ქალბატონ ბაბოს მიადგა და ეს უნდა აგერიდებინათ მისთვის“.**

ბატონი გოგი ალბათ ვერც წარმოიდგენს, რა რთული და საპატიო მისია იყო ჩემთვის სხვადასხვა რვეულებიდან, ჩანაწერებიდან თუ საგაზეთო ინტერვიუებიდან, ამ მოგონებათა დღიურის მასალების თავმოყრა, აკინძვა და ერთ დინამიკურ მთლიანობაში მოქცევა, რასაც, უპირველესად, ჩემი უფროსი მეგობრის, ქალბატონ ბაბო დადიანის უღრმესი პატივისცემით და მოკრძალებით ვაკეთებდი... და, რა თქმა უნდა, არ ვისურვებდი **„ჩრდილი მიმეყენებინა“** მისთვის. ეს „მოგონებათა დღიური“ თავისი განსაკუთრებული ღირსებებით, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ უკვე ეპოქის დოკუმენტად იქცა და მისი ავტორი წარსულიდან ჩვენსკენ მომავალ იმ ძვირფას სილუეტთა შორის აღიქმება, ცნობიერებაში სამუდამოდ რომ რჩებიან აღბეჭდილნი.

* * *

რატომღაც შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბატონ გოგის არც ერთი, არც მეორე წიგნი არ წაუკითხავს იმ მნიშვნელობით, რასაც ნამდვილი კითხვა ჰქვია, თორემ იმგვარი ემოციური მუხტის ადამიანი, როგორც იგი გამოიყურება, შინაარსობრივ დასკვნებსაც გამოიტანდა და მსჯელობის პრიორიტეტებსაც განსაზღვრავდა.

ამიტომ ჩემს ოპონენტს გურამ დოჩანაშვილის გმირის ანალოგიით მინდა მივულოცო ის სიამოვნება, რასაც შემდგომში ამ წიგნების წაკითხვისას მიიღებს.

**ბატონი გოგი დოლიძე კრებულების პრეზენტაციის ერთი წლისწინანდელ საღამოს დადებითად, უკრიტიკოდ განიხილავს, თუმცა, მომიტევეთ და ცოტა გადამეტებული მომეჩვენა მისი ორივე წერილის დასაწყისში მოყვანილი ეპითეტები ჩემს „მომხიბვლელობასა“ და კარგ „სცენურ მოძრაობაზე“... ბატონ გოგის არაფამილარულად და თავაზიანად საპასუხო კომპლიმენტს შევაგებებ: „ძალიან გიხდებათ ჩოხა!“... მაგრამ ამჟამად მას სხვა საგანზე მინდა მივანიშნო, რასაც ინტუიციის პრობლემა ჰქვია და რაც ასე აუცილებელია ლიტერატურაზე საუბრისას...**

კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ ყურადღებისთვის და იმედს ვიტოვებ, რომ ჩემს საპასუხო წერილს ბატონი გოგი ისე გამოიყენებს, როგორც რაინდული მორალი და რაინდთა დაუწერელი კანონები უკარნახებს.



პატივისცემით
**ნინო ხოფერია**

# სულიერების ამაღლების ერთი წელი

**ქართულ ტელესივრცეში ახლის და მნიშვნელოვანის დამკვიდრება ძალიან ძნელია, მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობდა ცარიელი ნიშა, რასაც მაყურებელი დიდი ხანია ელოდა.**

ერთი წელი, რაც ტელემაუწყებლობა **„ერთსულოვნება“** არსებობს, ბევრიც არის და ცოტაც. დროის ამ მონაკვეთში გამოჩნდა ამ ტელევიზიის მესვეურთა, ჟურნალისტთა, რეჟისორთა თუ ტექნიკური პერსონალის სულისკვეთება, გემოვნება და პროფესიონალიზმის დონე.

ერთი წელი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ საზოგადოებამ დაინახოს, რა მიმართულებით მიდიან, რა სტანდარტებს გვთავაზობენ ისინი.

გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ არხი „ერთსულოვნება“, რომელსაც უკვე მაყურებელთა საოცრად დიდი რაოდენობა ჰყავს, მიღწეულით, ანუ ცალკეულ გადაცემათა დონით არ უნდა დაკმაყოფილდეს. როცა კეთილგანწყობით გიყურებენ, ეს უფრო დიდი პასუხისმგებლობაა.



მაყურებლები ამბობენ, რომ მათ უდიდეს სულიერ ძალას ანიჭებს არხი „ერთსულოვნება“ და განსაკუთრებით რამდენიმე პროგრამას გამოჰყოფენ. მათ შორისაა მრავალფეროვანი სიუჟეტებისგან შემდგარი პროგრამა **„კვირიაკე“** (პროდიუსერი **ქეთევან დუმბაძე**), რომელიც ძირითადად კულტურულ ფასეულობებზეა ორიენტირებული და წარსულის და აწმყოს საინტერესო ისტორიებს გვთავაზობს.

სიუჟეტებს სხვადასხვა ავტორები ამზადებენ. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მასალა, ტექსტის თუ რეჟისურის თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებულია, ერთ მთლიანობაშია გაერთიანებული და ეს სტილისტური მრავალფეროვნება გადაცემას თავისებურ ხიბლსაც ანიჭებს.

რამდენიმე კითხვით პროგრამის რედაქტორს, ჟურნალისტ **თამარ მახარაძეს** მივმართეთ.

**– თქვენი პროგრამის შინაარსი და ფორმა ერთი წელია არ იცვლება, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ მაყურებელს ასეთი მოსწონს.**

– არხი „ერთსულოვნება“ ერთი წელია, რაც არსებობს. „კვირიაკე“ კი პირველად 11 იანვარს გავიდა ეთერში და თავიდანვე ჩაფიქრებული გადაცემის ფორმატი არ შეცვლილა. ჯერჯერობით, ვიცით, რომ მაყურებელი კმაყოფილია. ჩვენ გვყავს მუდმივი, ერთიანი გუნდი, რომელიც ამზადებს სიუჟეტებს: **გიორგი მრევლიშვილი, ირმა თევდორაძე, ანა ჩიკვაიძე, ლექსო ქურხული, გიორგი მიქაძე, ეკა მახარაშვილი, რუსუდან შაიშმელაშვილი, ელენე მიქაძე, ია ტიგინაშვილი...** გვემსახურებიან ოპერატორები: **თენგიზ თვალაბეიშვილი** და **ვაჟა თოფურია.**

**– თქვენი გადაცემა კულტურულ-შემეცნებითია...**

– თავიდან ასე გვქონდა განსაზღვრული, რომ გადაცემა არა მარტო კულტურულ-შემეცნებითი ფუნქციის უნდა ყოფილიყო, არამედ გვესაუბრა ადამიანებზე, მათ ბედზე, ურთიერთობებზე... საზოგადოებისთვის უცნობ პიროვნებებზე, რომლებიც სამაგალითონი არიან თავიანთი ცხოვრების წესით.

**– ჩვენ ვიცით, რომ ბევრი მაყურებელი მადლიერია თქვენი...**

– დიახ, ხშირად გვირეკავენ, გვამხნევებენ, რისთვისაც მინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადო...

* * *

ჩვენ პარალელურად რამდენიმე მაყურებლის აზრიც მოვისმინეთ.

**თამარ დათუაშვილი (მსახიობი):** – ვუყურებ მუდამ ამ არხს. აქ ვპოულობ სულის სიმშვიდეს... ვახერხებ ფიქრს მაღალ ღირებულებებზე, უამრავ საინტერესო ამბავს ვისმენ, გემოვნებით და ზომიერებით შეფუთულს...

**თათული ღვინიაშვილი (ფილოლოგი):** – ეს არის არხი, რომელიც ყველას სულის დასამშვიდებლად გვჭირდება, მის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმომიდგენია...

რადგან კონკრეტულად „კვირიაკეზე“ მეკითხებით, გეტყვით, რომ ეს არის მშვენიერი პროგრამა და ძალიან მოგვწონს მე და ჩემს მეგობრებსაც. სხვათა შორის, მეგობართა შვილებსაც. დიდ ინტერესს იწვევს გადაცემის თითოეული თემა, მინდა მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სიუჟეტებზე მუშაობენ და საერთოდ, მადლომა ღმერთს, რომ ეს არხი არსებობს.



* * *

ჩვენ განსაკუთრებით დავინტერესდით, უყურებენ თუ არა ახალგაზრდები ამ არხს, კერძოდ გადაცემა **„კვირიაკეს“**.

ნაწილმა გვიპასუხა, რომ არ უყურებს, ხოლო ნაწილმა გვითხრა, რომ მოხიბლულია იმ ისტორიებით და პიროვნებათა ბიოგრაფიებით, გადაცემის ფორმატით, ტექსტებით, ვიზუალური ფორმით. გვითხრეს, რომ თანდათან იზრდება თანატოლთა წრე, რომლებიც ამგვარ გადაცემებს უყურებენ... მათ დაგვისახელეს „კვირიაკეს“ სიუჟეტები, რომლებიც ეძღვნება კონსტანტინე გამსახურდიას პირველ სიყვარულს, გრიგოლ რობაქიძეს, ბაზო დადიანს, გია ყანჩელს, ნოდარ დუმბაძეს, არჩილ სულაკაურს, გურამ დოჩანაშვილს... ქართული ემიგრაციის ისტორიას...



ყოველ კვირას, საღამოს ათის ნახევარზე, უყურეთ ტელეპროგრამას **„კვირიაკე“**. ის მათთვისაა, ვისაც ჩვენი ქვეყნის გუშინდელი და დღევანდელი დღე აინტერესებს... ის იმ ადამიანთა ბედზე მოგითხრობთ, რომლებიც სამუდამოდ დარჩებიან თქვენს მეხსიერებაში...

**„ერთსულოვნებას“** კი დაბადების დღეს და ერთი წლის იუბილეს ვულოცავთ.

**ნინო გელაძე**

---

## მკითხველის გამოხმაურება

# ისევ დაუდგმელი ძეგლის შესახებ

**ბატონებო,**

**მე თქვენი გაზეთის ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართის – „კვირაძალს საკითხავის“ ერთგული მკითხველი ვარ. თავს უფლებას მივცემ და ამჯერად არა მარტო ჩემი, აჭარაში მცხოვრები ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელით, მადლობას გადაგიხდით, 14 ნოემბერს, გამოქვეყნებული პუბლიკაციისათვის – „დადგმული და დაუდგმელი ძეგლის ამბავი“, რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ეროვნულ საგანძურსა თუ სხვა ფასეულობებს განსაკუთრებული გაფრთხილება, სათუთი მოვლა-პატრონობა სჭირდება!**

გვეგონა, რომ გულისტკივილი, რომელიც ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლის შემდეგ, **ენციკლოპედია „აჭარის“ რედაქციამ** გამოთქვა,რაც უსამართლოდ მივიწყებულ ბოტანიკოს, ბათუმის არაერთი ბაღის დეკორატორს და არქიტექტორს **იასონ გორდეზიანს** ეხებოდა, ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა ერთსულოვან მხარდაჭერას მოიპოვებდა, მაგრამ მოხდა პირიქით. აქ მომუშავე ადამიანების ერთმა ჯგუფმა საქვეყნო განგაში ატეხა: არავითარი ცვლილებები, ყველაფერი ისევე უნდა დარჩეს, როგორც იყოო! სწორედ ამის გამოძახილია გაზეთ „აჭარაში“ (14–16 ნოემბერი, 2009წ.) გამოქვეყნებული წერილი „კმაყოფილი ვარ, რომ ბოტანიკურ ბაღს ვდირექტორობ.“

ჩვენ ველოდით, რომ ეს იქნებოდა დადებითი გამოხმაურება ბატონ **ოთარ გაგუას** პუბლიკაციაში მოტანილ შენიშვნებსა თუ მოსაზრებებზე. სინამდვილეში კი ასეთი თვითკმაყოფილებით გაჯერებული საგაზეთო სათაურის შემდეგ, „კლასიკური“ მონოლოგის მოწმენი გავხდით:

***– „მე მივმართავ საზოგადოებას, რომ ის ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა, სიმართლეს არ შეესაბამება...***

***– ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი იყო, არის და იქნება ა. კრასნოვი!..***

***– და თუნდაც კრასნოვი კოლონიზატორი ყოფილიყო, თუნდაც მას გონებაში ჰქონოდა სხვა დამოკიდებულება ქართველებზე, ეს მე ნაკლებად მაინტერესებს, გამომდინარე იქიდან, რომ მე ორიენტირებული ვარ შედეგზე, შედეგი კი ის არის, რომ მან დაგვიტოვა ქართველებს უნიკალური ბოტანიკური ბაღი. და საერთოდ, ისტორია და პოლიტიკა არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში, პოლიტიკას უნდა მიხედოს პოლიტიკოსებმა, რაც შეეხება ისტორიას, ის უნდა იყოს შეფუთული, ხელმისაწვდომი და ამავე დროს მიუწვდომელი“. (სტილი დაცულია)***

არ მესმის, რამ განაპირობა ამ ადამიანების ასეთი განრისხება, ან ვისგან და რისგან იცავენ კრასნოვს? რამ ჩაკლა მათში ეროვნული სული, სიამაყის გრძნობა, ან რატომ ავიწყდებათ, როგორც ბატონი ოთარ გაგუა თავის პუბლიკაციაში აღნიშნავს, – „ვინც საკუთარ ღირებულებებს არ უფრთხილდება, მისი ყადრი და ფასი არ იცის, მომავალი არ უწერია. სწორედ ეს აშინებდა დიდ ილიას, როცა „ქვათა ღაღადს“ გვიწერდა. ჩვენ კი ისე ვანიავებთ უფლისა და წინაპართა ნაბოძებ-დანატოვარს, თითქოსდა, გუშინ ბაზრობაზე შეგვეძინოს“...

ბოტანიკური ბაღის დირექტორს კი გვინდა ჩვენი წარსულის და აწმყოს სწორედ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სამწუხარო რეალობა შევახსენოთ, რაც წინაპართა ღვაწლის შეუფასებლობით იწყებოდა და მთავრდებოდა იმ ჩიხით,საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი ხდებოდა.

თქვენი გაზეთის ღვაწლი ჭეშმარიტების დადგენისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ამგვარ დემაგოგიურ ფონზე, როცა სახელმწიფო დაწესებულების დირექტორი გვმოძღვრავს: **„ისტორია უნდა იყოს შეფუთული,ხელმისაწვდომი და ამავე დროს მიუწვდომელი“.** ეს ის შემთხვევაა, როცა კომენტარიც ზედმეტია.

ასე არათუ იასონ გორდეზიანს, ჩვენს ღირებულ წარსულსაც ვერ დავუდგამთ ძეგლს. ვერც პირდაპირი მნიშვნელობით, ვერც სიმბოლურად და ვერც საკუთარ გულებში.

უკეთესი მომავლის მოლოდინში

**თენგიზ თავდგირიძე,**

**საქართველოს ისტორიულ-საგვარეულოთა შთამომავლების თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს აჭარის ორგანიზაციის თავკაცი. ჩოხოსანი.**

---

**ეს ფოტო ცნობილი პოეტის ილია ხოშტარიას საოჯახო ალბომიდანაა.**

არაჩვეულებრივი გარეგნობის პიროვნება, აზნაური გიორგი მანუჩარის ძე ქაჯაია თავისი სიძის, პოეტ ილია ხოშტარიას დედის დაკრძალვაზე, დასავლეთ საქართველოდან თბილისში ჩამოსულა და ქართველი მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები გამორჩეული ზრდილობით და აღნაგობით განუცვიფრებია. მათ შორის: სიმონ სხირტლაძე, ვიქტორ გაბისკირია, შალვა დემეტრაძე...

გალაკტიონ ტაბიძეს გიორგი ქაჯაიასთვის ხელი მოუხვევია: ამ ლამაზი კაცის გვერდით უფრორე ლამაზ ლექსებს დავწერო...

გიორგი ქაჯაია, როგორც მჭევრმეტყველი და უბადლო მომღერალი, იმერეთში ყველაზე ღირსშესანიშნავ სუფრებს თამადობდა. ამ დიდი ფიზიკური ძალის ადამიანს, როგორც იგონებენ, საოცარი შინაგანი სილბო ჰქონია...

„ვაჰ, დრონი დრონი“... ვინ იცის, განმეორდება თუ არა საქართველოში ამგვარი იერი და ჯიში.



**განმეორადობის კანონის თანახმად, „რაც იყო, იგივე იქნება“... ესე იგი, უნდა განმეორდეს...**

თაობათა უწყვეტი ჯაჭვი

# უფლის საჩუქარი

## „ალექსანდრეს ბაღში“ ციცქნა ანანოსთვის მოყოლილი მოგონებების დასასრული

თემო მეტრეველი ვახსენე და უმალ სევდა შემომაწვა, ბაბუ... თითქმის ტოლები ვიყავით, ახალგაზრდა კაცი მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან – გულმხურვალე მამულიშვილი და პროფესიონალი... „ახკომიდან“ „კომუნისტში“ რომ გადმოვიდა, თანდათან დავუახლოვდით ერთმანეთს – გულმა გული იცნო. თემო, ძირითადად, საგანმანათლებლო საკითხებზე წერდა, ნიჭიერება და განსწავლულობა ახლდა მის წერილებს. ეროვნული მოძრაობის აზობოქრების ჟამს ნელ-ნელა დამოუკიდებელი პრესაც გაჩნდა აქა-იქ. თავისუფალი სიტყვა შემოდიოდა ქართულ მასმედიაში, გაზეთ „კომუნისტის“ ხანა წარსულს ბარდებოდა. სწორედ ამ დროს თემურ მეტრეველი მეუბნება, პროფკავშირები გაზეთს აარსებენ, რედაქტორად მიმიწვიეს და თუ გინდა წამოდი მოადგილედ, ხელფასიც დიდიაო... თანამდებობებს არასდროს გამოვკიდებივარ, ბაბუ, მაგრამ ამჯერად ხელფასმა მომხიბლა – „კომუნისტში“ ორასი მანეთი მქონდა და ახალ ადგილზე მთელი სამასი მანეთით მეტს მინიშნავდნენ... დიდი იყო ცდუნება... დაარსდა გაზეთი, „კაბადონი-8“ დავარქვით, ყოველნაირად გვიწყობდა ხელს საქართველოს პროფკავშირის მაშინდელი თავმჯდომარე პეტრე ჩხეიძე – შესანიშნავი პიროვნება, მამულიშვილი... „კაბადონი-8“ ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი გამოცემა იყო, არ აკლდა თემათა სიმძაფრე, მაშინდელი არეული დროის შეგრძნება... მახსოვს, ერთხელ ტელეფონი რეკავს, ვიღებ ყურმილს, რომელი ხარ, ისმის მკაცრი ხმა, ვუთხარი, ვინც ვიყავი. – ვილენ, ზვიადი ვარ მე (ზვიად გამსახურდია რეკავდა – უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე)! რას მიკეთებთ, ბიჭო, თქვენ, რეებს ბეჭდავთ!.. ვილენ, მაგას არ ველოდი შენგან!.. ხომ იცით, რომ მიგახურავთ, ერთ დღეს!.. და გათიშა, ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი. მივხვდი, რაზეც იყო გაბრაზებული. ირაკლი წერეთლის მიტინგის ანგარიში გვქონდა ნომერში დაბეჭდილი და მას არ გვპატიობდა...

საერთოდ კი ძალზე კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ – მერაბ კოსტავა, ზვიადი, ვოვა სიხარულიძე, გურამ დოჩანაშვილი, ვიქტორ (დოდო) რცხილაძე, ჯონდო მეტრეველი – საბჭოთა სისტემის მოძულენი, ცნობილი დისიდენტები – უმცროს მეგობრად მთვლიდნენ და მე, დიახაც, ვამაყობდი ამით... „შენ ვილჰელმი ხარ ბიჭო, ვილჰელმი!“ – შემომძახა ერთხელ ზვიადმა – გამომცემლობის შენობიდან გამოსულმა, მტრედის გუნდივით რომ მოსდევდნენ, ვითომ „ეროვნული მოღვაწენი“ – ბიჭ-ბუჭობა... იმ დროს ძალზე პოპულარული იყო, მისი ხელის ჩამორთმევასაც კი ბევრი ნატრობდა... რა დასამალია, ბაბუ, მამაშენს – სწორედ „დიდოსტატის მარჯვენის“ მამაცი პერსონაჟის ზვიად სპასალარისა და დიდოსტატი კონსტანტინეს ვაჟიშვილის ზვიადის პატივისცემით დავარქვი ზვიადი... ასეთი ადამიანები ჩვენში ყოველთვის ტრაგიკულად ამთავრებენ სიცოცხლეს და, რა გასაკვირია, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტიც ასე წასულიყო ამ წუთისოფლიდან...

...აირია ივერია, აირია მონასტერი, ქართველმა ქართველს ესროლა, ბაბუ, არ დაინდო ძმა და თვისი... ღმერთსა ვთხოვ, შენმა თაობამ მაინც მონახოს ქართველების ერთმანეთთან მისასვლელი გზები, თუმცა ძალიან მეპარება ეჭვი, რადგან მრავალსაუკუნეგამოვლილი ჩვენი სამშობლო სწორედ ძმათა ქიშპობასა და ურთიერთმტრობას უჩიოდა მუდამ, ბაბუ... „ღმერთო შეაყვარე ქართველს ქართველი“ – ჯერ კიდევ როდის წერდა ვაჟა... მაშ, ქართველმა ქართველს ესროლა 1992 წლის 22 დეკემბერს, რუსთაველზე სამარცხვინო ამბები დატრიალდა, ჩვენი რედაქცია დაიშალა, ვიღას ახსოვდა „კაბადონი-8“. გააქციეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ნელ-ნელა დაწყნარდა ქალაქი, სროლები შეწყდა თბილისში და დამოუკიდებელმა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წელს, პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს გამოვიდა და ამჯერად, ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს ორგანო იყო, გამოსვლა განაახლა... შემთხვევით შემხვდა გურამ გოგიაშვილი, რომელიც წინა დღეს რედაქციის კოლექტივს რედაქტორად აერჩია, და „კაბადონი-8“-ის დახურვის ამბავი რომ გაიგო, მობრუნდი კაცო, ჩვენთან, ხომ გაგიგონია, მთის ჩიტი მთას შეაკვდაო, ჩვენთან დავაჟკაცდი („საქართველოს რესპუბლიკა“, პრინციპში „კომუნისტის“ მემკვიდრე იყო) და ვაკეთოთ ახლა ერთად გაზეთი, ინფორმაციის განყოფილების გამგედ მიგიღებო... რას ვიზამდი, მთელი ცხოვრება, მართლაც „კომუნისტის“ შენობაში (ასე ეძახდნენ მაშინ ცეკას გამომცემლობის შენობას) გავატარე ვერაზე, უამრავი ნაცნობ-მეგობარი მყავდა აქ, რომ არაფერი ვთქვათ რედაქციაზე, რომელიც სულ ორი წლით დავტოვე და, რა გასაკვირია, მართლაც მენატრებოდა ჩემი ხალხი, რომლებთანაც ერთად, შეიძლება ითქვას, დღე და ღამე მქონდა გასწორებული ჟურნალისტურ გაწამაწიაში... სიტყვა „გაწამაწიამ“ გამახსენა, ბაბუ...

ჟურნალისტიკის ძირითადი მიზანია მკითხველისთვის, მსმენელისთვის ინფორმაციის სწრაფად, ოპერატიულად მიწოდება, ამ სიჩქარეში კი შეცდომისგან არავინაა დაზღვეული. შეცდომები როგორ არ მქონია, მაგრამ ამ ორ კურიოზს ყოველთვის ვიხსენებ ხოლმე. ორივე, სხვათა შორის, ამხანაგ ბრეჟნევს უკავშირდება (იყო ასეთი გენერალური მდივანი, ანუ ყველაზე დიდი კაცი უზარმაზარ საბჭოთა ქვეყანაში)... „კომუნისტში“ ვმუშაობ, აქ სერიოზულ შეცდომას არავინ გაპატიებდა, ერთი ამბავი ატყდებოდა ცეკაში... ჰოდა, ერთხელ, ჩემი მორიგეობის დროს, ერთ-ერთ სტრიქონში სიტყვა ბრე**ჟ**ნევი ბრე**ყ**ნევმა შეცვალა, შემთხვევით (ვინც ძველი პოლიგრაფისტია ის გამიგებს) ლითონის სტრიქონზე ასო **ჟ**-ს თავი ჩამოტყდა და დარჩა – **ყ**, ანუ **ბრეყნევი** და ძლივს გადავრჩი სამსახურიდან გაგდებას... მოგვიანებით ისევ ბრეჟნევი ამიტყდა, ბაბუ... კარგა ხნისა გარდაიცვალა და გაზეთ „კომუნისტის“ პირველი გვერდი, შავ არშიაშია ჩასმული, გლოვობს ქვეყანა... მორიგე ვარ ასეთ საპასუხისმგებლო ნომერზე, ჰოდა, მეორე დღეს ინფორმაცია იბეჭდება **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის** ბრეჟნევის გარდაცვალების გამო. მოვარდა ცეკადან რედაქტორი ბატონი გიორგი ბედინეიშვილი, მოიწვია სასწრაფო თათბირი, როგორ მოხდა, რომ შეცდომა წავიდა, უნდა ყოფილიყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სიტყვა **„პრეზიდიუმის“** გამორჩენილია!.. სად იყო მორიგე?! შეიძლება ნასვამიც კი იყო ასეთ საპასუხისმგებლო ნომერზე! დაწერე დოდო ბრძანება (რედაქციის გამგეს დოდო ბედოევას მიმართავს რედაქტორი), ნომრის მორიგე ვილენ მარდალეიშვილის დაქვეითების შესახებ. კიდევ კარგი, გაგდებას გადავრჩი. რას გამაგდებდა, ბატონი ჟორას ჯილა ვიყავი, სასმელისთვის და სუფრისთვის, მიუხედავად მაღალი თანამდებობისა, დროს ყოველთვის პოპულობა. დამქვეითეს, ანუ ხელფასი დამაკლეს რამდენიმე თვით, მაგრამ ბატონ ჟორას ჩუმად უთქვამს პასუხისმგებელი მდივნის ვაჟა ჯალაღანიასთვის, ჰონორარი მოუმატე მაგ ოხერსო, ამით კი დაკლებული ხელფასის კომპენსაცია გამოვიდოდა... სხვათა შორის, ის „სამგლოვიარო“ ნომერი, ერთი 1000 ცალი ბიბლიოთეკებისთვის, თავიდან დაიბეჭდა ჩასწორებულ-ჩასუფთავებული.

მოკლედ, დავბრუნდი „ძველ ტერიტორიაზე“, ნაცნობ დერეფანსა და ოთახებში, რომლებიც უკვე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ეკუთვნოდა. ძველ მეგობრებსა და თანამოკალმეებს ახლებიც შემატებოდნენ სხვადასხვა გაზეთებიდან – შესანიშნავი პროფესიონალები... ზოგიერთები ახლაც ერთად ვართ, ანანიკო, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ერთად ვიყოფთ, ხანში კი შევედით, მაგრამ ბებერი ხარისა, რქანიც ხნავენ, ბაბუ... მართალია, ჟურნალისტიკა მაინც ახალგაზრდების საქმეა, მაგრამ გამოცდილებაც ხომ დიდი რამეა, გამოცდილება კი, იცოცხლე, დაგვიგროვა ცხოვრებამ... ჰოდა, ვუშვებთ, ცხადია, ახალგაზრდებთან ერთად, „საქართველოს რესპუბლიკას“... ამ ხალხს, ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს არც აქ დაუკლიათ ჩემთვის პატივისცემა, ყოველდღიურად ვგრძნობ მათ გულის სითბოს, მაგალითად ჩემთან ერთად გაიხარეს 1993 წლის შემოდგომაზე, რედაქტორის, ბატონ გურამ გოგიაშვილის და ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის ბატონ აკაკი სიხარულიძის ინიციატივით, ჯერ კიდევ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ „ღირსების ორდენით“ რომ დამაჯილდოვა (მოგვიანებით გაირკვა, რომ სამოქალაქო პირთა შორის პირველს გადმომეცა ეს ჯილდო, ბაბუ), 60 წლისთავზეც არ დამკლებია პატივისცემა, მოვიდნენ ერთ დღეს ჩემთან შესანიშნავი ჟურნალისტები, დედაშვილი ლამარა და დარეჯან გიორგაშვილები, რომლებიც გაზეთ „საქართველოს მოამბეს“ უშვებდნენ, მათ ჩვენი, შოთა მაჭარაშვილიც მოჰყვა და გამომიცხადეს, თქვენს საიუბილეო თარიღს ჩვენი გაზეთის სპეციალური ნომერი უნდა მივუძღვნათ და უარი არ გვითხრათო. ბიჭოს! აბა, როგორ მეთქვა უარი?! ცხადია, უზომოდ გავიხარე ამ დაფასების გამო. ამ კეთილშობილმა ადამიანებმა მთელი გაზეთი – რვა გვერდი დაუთმეს ბაბუაშენს, ანანო, ჩვენი გაზეთის ხელმძღვანელობამ კი „საქართველოს მოამბე“ „საქართველოს რესპუბლიკით“ მთელ საქართველოში გაავრცელა... აბა, როგორ არ ვიყო მადლიერი?

ანდა, როგორ არ ვიყო მადლიერი წყალტუბოელი ბიბლიოთეკარებისა, ბაბუ, რომლებმაც მშობლიური მაღლაკის კულტურის სახლში, ჩემი 60 წლის გამო, მაღლაკელებს შემახვედრეს, ჩემს მიმართ უამრავი გულთბილი სიტყვა მასმენინეს, ამაღელვეს, გამახარეს, მერე კი დიდებული ვახშამიც გამართეს... ამის მოწმეა ჩემი საამაყო თანამემამულე ბატონი ოტია იოსელიანი, რომელმაც პატივი დამდო და ჩამოვიდა მაღლაკში, ამის მოწმენი არიან ჩემი მეგობრები გურამ გოგიაშვილი და მამუკა ვაშაკიძე, მაღლაკში რომ მახლდნენ და ჩემს სიხარულს იზიარებდნენ. მადლიერი ვარ, ბაბუ, ბატონ არმაზ სანებლიძის – გამორჩეული ჟურნალისტისა და მოღვაწის, რომლის რედაქტორობის დროს სრული თავისუფლება მქონდა ჩემი შესაძლებლობების გამოვლენისა. მაგალითად, ბარე შვიდ წელიწადს ვამზადებდი საავტორო გვერდს „საქართველო, ქართველი, ქართული“ და ვცდილობდი მრავალფეროვანი მასალები დამებეჭდა მასში. რა გამოვიდა, ამის მოწმე მკითხველია... ერთმა კოლეგამ წერილი მოიწერა რედაქციაში და „სიახლე ჟურნალისტიკაში“ უწოდა ამ წამოწყებას... ანდა, რამ დამავიწყოს, ბაბუ, რომ ჩემი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ დიდი ნიკო ნიკოლაძის პრემიით დამაჯილდოვა, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა „ოქროს ფრთამ“ ქალბატონ ეთერ ჯიშკარიანის ინიციატივით „ოქოს ფრთა“ მიბოძა, ხოლო ჩემი სტუდენტობის მეგობარი, გულისხმიერებით და სიკეთით სავსე ბიზნესმენი და მეცენატი თორნიკე კოპალეიშვილი წიგნის – „ჩემი ბედისწერა“ გამოცემაში დამეხმარა. დიდი მონუმენტალისტის და სამაგალითო პიროვნების ზურაბ წერეთლის ყურადღება ჩემს მიმართ ხომ განსაკუთრებულია (არა მხოლოდ იმიტომ, რომ შენი ბებიკო, ჩემი ოჯახის დედაბოძი, ჩემი დაგმარა, წერეთლის გვარისაა)... ანდა, როგორ არ გავიხსენო ცნობილი იურისტის, დახვეწილი ინტელიგენტის, „კომუნისტის“ ბოლო რედაქტორის ბატონ მინდია უგრეხელიძის გულისხმიერება, განსაკუთრული დამოკიდებულება ჩემს მიმართ.

მადლიერება, მადლიერება, მადლიერება, ბაბუ, ამას მოგვიწოდებს ჩვენი უფალი იესო, რომელიც ყველაზე დიდ საგანძურს – სიცოცხლეს გვჩუქნის და ჩვენ – ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი – მოვალენი ვართ ადამიანურად ვხარჯოთ ეს საჩუქარი, ვეცადოთ, რომ სიკეთე ვთესოთ ამ წუთისოფელში და მადლიერება გამოვხატოთ ჩვენდამი სიკეთის მიმართ. უფალმა იესომ მაჩუქა შენი თავიც ბაბუ, გაგხადა შვილი იმ ერთი მტკაველა მიწისა, რომლის მშვენებას შენ თანდათან შეიგრძნობ და რომლის ფასსაც თანდათან გაიგებ, ბაბუ... აბა, შენ იცი, რა სიკეთით გაირჯები მისთვის... უფლის ნებით, შენ გეყოლება ძმები, დები, ბიძაშვილები... იმედია, რომ წაიკითხავთ, ბაბუ, თუ რას გიყვებოდი „ალექსანდრეს ბაღში“ ციცქნა ანანიკოს... რაც გამახსენდა, ეგ არის ბაბუ... მისხალ სიყალბეს ვერ იპოვით შიგ... არაფერი დამიმალავს, გჯეროდეთ, ბაბუის ნაქნარი ერთი უკეთური საქმეც კი არ დაგვხვდებათ წინ ცხოვრების გზაზე, ანუ, ჩემი წარსულით, მე მომავლისა არ მეშინია, ანანიკო!..





* * *

ამ გონებაში გაელვებულ ფიქრებს, ამ მოგონებებს, „ალექსანდრეს ბაღში“ რომ ვუზიარებდი უფლის ნაჩუქარ ჩემს შვილიშვილს, ნელ-ნელა ვწერდი, ნელ-ნელა ვბეჭდავდი და ამასობაში კაი ხუთი წელი გავიდა. ანანოს უკვე ძმა ჰყავს – ციცქნა აკაკი, ანუ უფალმა ინება ჩემი გვარის გაგრძელება. გმადლობთ, შენ, უფალო, ამ საჩუქრისთვის. მოვემზადები აწი ნელ-ნელა ზეციურ საქართველოში წასასვლელად და წავალ იმ იმედით, რომ ჩემი სისხლი და ხორცი უკეთესად იცხოვრებს, ჩემზე ბედნიერი იქნება, ამ მადლიან მიწაზე მოსიარულე, მეტად გაფურჩქნის თავის ნიჭსა და უნარს სამშობლოს, მამულის სასიკეთოდ, გვარის სასახელოდ!

ჯვარი გეწეროთ, ბაბუ!

ვილენ მარდალეიშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 239.

სკანდალი

# როგორ მოიპარეს მილიონები

## ანუ ვინ ხრავდა სფფ თანხებს



**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლადარჩეული აღმასკომის პირველივე სხდომა ბომბის გასკდომას ჰგავდა — სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ისეთ სკანდალურ საკითხებზე მოუხდა მსჯელობა, უფრო სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები რომ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი.**

უპირველესად, მოდით, იმ უზარმაზარ თანხებზე ვისაუბროთ, რომლებსაც ნოდარ ახალკაც-უმცროსის მმართველობის ოთხწლიან პერიოდში გაუკეთდა ექსპროპრიაცია. ეს გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, არასწორი მენეჯმენტის შედეგად არამიზნობრივად დახარჯული ფიფა-უეფადან გადმორიცხული 56(!) მილიონი და სახელფასო-საბანკო დავალიანება — დაახლოებით 10 მილიონი!

ისიც შევიტყვეთ, რომ თვით სფფ შენობა ერთ-ერთ ბანკში გირაოდ ყოფილა ჩადებული.

აქვე დავძენთ, რომ ფედერაციის აღმასკომმა აუდიტის მიერ წარმოდგენილი ეს მონაცემები არასრულად მიიჩნია და მოგვიანებით, დამატებითი შესწავლის შემდეგ, მას კიდევ ერთხელ დაუბრუნდება.

ასეთი ენერგიული დებიუტის შემდეგ სფფ ახალი აღმასკომის წევრებს მოკრძალებით შევბედავთ: კარგი იქნება, თუ იმ საბიუჯეტო მილიონების ბედითაც დაინტერესდებით, რომლებიც ტოპმიოლერისა და კუპერის კონტრაქტებიდან წილების სახით ვარდყვავილოვანი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ჯიბეებში დაილექა.

არანაკლებ აღმაშფოთებლად გვესახება გუშინდელ სხდომაზე განხილული სხვა ფაქტებიც. მაგალითად, ვითომ აქამდე არავინ იცოდა, რომ ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ნარკომანი თამაშობდა ან ზოგიერთი „ჯვაროსანი" ტოტალიზატორებში ფსონებს საკუთარი გუნდის წაგებაზე დებდა!

მოკლედ, მწვავე გაგრძელება იქნება...

გია პლატონიშვილი

კალათბურთი

# ესპანური ევროლიგა



**დასრულდა ევროლიგის I წრე, დაუმარცხებლად კი მხოლოდ ესპანური კლუბები „ბარსელონა" და „უნიკახა" ასპარეზობენ.**

განსაკუთრებით შთამბეჭდავად კატალონიური გრანდი თამაშობს, რომელმაც მეხუთე ტურის მატჩი იტალიაში მოუგო მრისხანე მეტოქეს, მანამდე მასავით უდანაკარგოდ მებრძოლ „სიენას" — 84:65.

სტუმართაგან აღსანიშნავია სენეგალელი გიგანტის ნდონგისა (19 ქულა) და უზერებელი სნაიპერის ნავაროს აქტიურობა, რომელმაც სამქულიანებით დასეტყვა აპენინელთა კალათი.

**გაუწყებთ მორიგი რაუნდის სრულ შედეგებს.**

**„ა" ჯგუფი.** „სიენა" — „ბარსელონა" 65:84, „ვილერბანი" — „ციბონა" 71:68, „ჟალგირისი" — „ულქერი" — 78:84.

„ბარსელონა" — 5, „სიენა" — 4, „ულქერი" — 3, „ჟალგირისი", „ციბონა", „ვილერბანი" — 1-1 მოგება.

**2 დეკემბერს ითამაშებენ:** „ბარსელონა" — „ულქერი", „სიენა" — „ციბონა", „ვილერბანი" — „ჟალგირისი".

**„ბ" ჯგუფი.** „უნიკახა" — „რიტასი" 91:84, „პარტიზანი" — „ოლიმპიაკოსი" 86:80, „ეფესი" — „ორლეანი" 77:64.

„უნიკახა" — 5, „ოლიმპიაკოსი", „რიტასი" — 3-3, „ეფესი", „პარტიზანი" 2-2, „ორლეანი" — 0 ქულა.

**2 დეკემბერს ითამაშებენ:** „ეფესი" — „რიტასი", „ორლეანი" — „ოლიმპიაკოსი", „უნიკახა" — „პარტიზანი".

**„გ" ჯგუფი.** „ტაუგრესი" — ცსკა 67:71, „მაკაბი" — „მაროსი" 75:67, „ოლიმპია" — „რომა" 87:70.

„მაკაბი" — 4, „ტაუგრესი", „რომა", ცსკა — 3-3, „მაროსი", „ოლიმპია" — 1-1 მოგება.

**2 დეკემბერს ითამაშებენ:** ცსკა — „მაროსი", „ტაუგრესი" — „რომა", „ოლიმპია" — „მაკაბი".

**„დ" ჯგუფი.** „რეალი" — „მილანი" 82:69, „პანათინაიკოსი" — „ოლდენბურგი" 96:63, „ხიმკი" — „პროკომი" 89:67.

„რეალი", „პანათინაიკოსი", „ხიმკი" — 4-4, „მილანი", „პროკომი", „ოლდენბურგი" — 1-1 მოგება.

**2 დეკემბერს ითამაშებენ:** „პანათინაიკოსი" — „მილანი", „რეალი" — „ხიმკი", „ოლდენბურგი" — „პროკომი".

ჭადრაკი

# საგზურები გაინაწილეს



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკეთა 69-ე ეროვნული ჩემპიონატის I ლიგის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 60-მდე ქალ-ვაჟი მონაწილეობდა.** შვეიცარიული სისტემით გამართულ შეჯიბრებაში 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულა მოაგროვეს და, შესაბამისად, პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ ნიკოლოზ ჩხაიძე, გიგლა ბენიძე და თორნიკე ხურციძე. მათ გარდა I ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს კახაბერ წერეთელმა, ალექსანდრე ებრალიძემ, იური ჩიქოვანმა, ნიკა ვოლკოვმა, ალა ვახანიამ, დემურ სირბილაძემ და შალვა ხაბურძანიამ. ეს შეჯიბრება თბილისის ჭადრაკის სასახლეში 15 დეკემბერს დაიწყება.

**სურათზე: მარცხნიდან — ნიკოლოზ ჩხაიძე, თორნიკე ხურციძე და გიგლა ბენიძე.**

ვაჟა დანელიას ფოტო.

მეზობელთან

# რა ხდება რუსულ ფეხბურთში?

**მარიბორში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურის პლეი-ოფის განმეორებითი მატჩის ფინალურმა სასტვენმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისკენ მარტო გზა კი არ გადაუკეტა რუსულ ფეხბურთს, არამედ ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მასში... როგორც რუსული პრესა წერს, მოულოდნელად დასრულდა მთელი ეპოქა. ალბათ გახსოვთ გალაქტიონისებური „მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი"...**

რუსეთი და, რასაკვირველია, ნაკრებიც, დატოვა მისმა მთავარმა მწვრთნელმა ჰოლანდიელმა გუს ჰიდინკმა.

რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განკარგულებით გადადგა რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო, აგრეთვე ნაკრების მწვრთნელთა შტაბი, ნაკრები დატოვა ასაკოვანი ფეხბურთელების დიდმა ჯგუფმა.

ეს ყველაფერი ერთად მოხდა. ასე რომ, ახლა რუსეთში ამ მხრივ ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყონ.

ახლა ერთ-ერთი მთავარი კითხვაა — ჰიდინკმა სულ დატოვა ნაკრები, თუ ფეხბურთის კავშირის ახალი თავკაცის არჩევის შემდეგ იგი მოელაპარაკება ჰოლანდიელ სპეციალისტს დარჩენაზეც. როგორც ამბობენ, აქ მთავარი ფულია. თურმე აქამდე გუს ჰიდინკს მილიონებს რუსეთის ფეხბურთის კავშირი კი არა, რომან აბრამოვიჩის „რუსეთის ფეხბურთის აკადემია" უხდიდა.

როგორც რუსული პრესა, მათ შორის, „კომსომოლსკაია პრავდა" წერს, უკვე გამოჩნდნენ კანდიდატები ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტის პოსტზე.



როგორც ჰიდინკის აგენტს კის ვან ნიუვენჰეიზენს განუცხადებია, ჰიდინკი არავითარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს ახალი პრეზიდენტის არჩევამდეო.

იმასაც ამბობენ, რომ ჰოლანდიელი ზეიმებს იყო მიჩვეული ავსტრალიაშიც, კორეაშიც და რუსეთშიც. მას სწორედ ამისთვის ეძახოდნენ, „აი მოვიდა ჰიდინკი და ახლა ყველაფერს ლამაზად გააკეთებსო". გუსიც იმარჯვებდა ან თითქმის იმარჯვებდა და ფულსაც ღებულობდა. ის არასოდეს ჩავარდნილა ისეთ მძიმე სიტუაციაში, როგორშიც რუსეთში მოხვდა.

ახლა, „ურემის გადაბრუნების" შემდეგ, კითხულობენ, თუ რამდენი მიიღო ჰიდინკმა რუსეთის ნაკრებთან მუშაობის დროსო? თურმე 7 მილიონი ევრო, მილიონ ევროსაც ჰპირდებოდნენ, თუკი ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მოხვდებოდა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ ვინ შეიძლება შეცვალოს ჰოლანდიელი მწვრთნელი? ასახელებენ ვალერი გაზაევსაც, ოლეგ რომანცევსაც, დიკ ადვოკატსაც, ყველაზე რეალურად მიიჩნევენ „ინტერის" ყოფილ მწვრთნელს რობერტ მანჩინის. თურმე ის ამას წინათ რუსეთის ჩემპიონატის მატჩებზეც კი შენიშნეს. აბა, იტალიიდან მხოლოდ ფეხბურთის სანახავად ხომ არ ჩამოვიდოდაო?

წარმოიდგინეთ, იმასაც ამბობენ, რომ რუსული ფეხბურთის, იგულისხმება ალბათ ნაკრებიც, საშველი არ არის, რადგან თურმე არ ჰყავთ ისეთი მოთამაშეები, გარდატეხა რომ შეიტანონ რუსულ ფეხბურთში(?!).

ვალიკო სიმონიშვილი

ადამიანის ბედი

**მას შემდეგ, რაც ვასილი ივანჩუკმა მსოფლიო თასის გათამაშების მეორე რაუნდში ახალგაზრდა ფილიპინელ სოუ უესლისთან წააგო, იგი ჰგავდა ადამიანს, ვინაც დიდი უბედურება გადაიტანა. უკრაინელი დიდოსტატი ნაკლებადცნობილი მეტოქისგან მარცხს ვერ შეურიგდა. ამიტომაც რუსული მედიისთვის მიცემული ინტერვიუ ემოციური განცხადებებითაა აღსავსე (გთავაზობთ შემოკლებით).**

# ივანჩუკმა, მივდივარო!

— მე ჩავიდინე საჭადრაკო თვითმკვლელობა!.. პირველ პარტიაში დარწმუნებული ვიყავი, რომ შეხვედრას მოვიგებდი. მერე... მერე, უბრალოდ, შევიშალე. რაღაც მომენტში მუდმივი ქიშით ყაიმის მიღწევა შემეძლო, მაგრამ მივიჩნიე, რომ პერსპექტიული პოზიცია მქონდა და პარტია განვაგრძე. ცაიტნოტში სიტუაცია ვერ გავაკონტროლე, რამაც ტრაგედიამდე მიმიყვანა. მეორე პარტიაში მდგომარეობის გამოსწორება ვერ შევძელი, არადა, მეტოქე საშინლად თამაშობდა... ჩემი ტრაგედია ჯერ კიდევ მოსკოვში ტალის მემორიალიდან დაიწყო, სადაც ბოლო ტურში კრამნიკს ვერ მოვუგე. მერე ბლიცტურნირში ისე ვკარგავდი ფიგურებს, ვერც კი ვხვდებოდი, რა მჭირდა...

უესლისთან წაგების შემდეგ სერიოზულ ჭადრაკში არაფერი მესაქმება. დღეიდან ჭადრაკი ჩემთვის, უბრალოდ, ჰობი იქნება. თუმცა, საკონტრაქტო ვალდებულებებს შევასრულებ — ვიასპარეზებ ყველა ტურნირში, რომლებზეც თანხმობა მქონდა მიცემული, და ამით დავამთავრებ. სერიოზული გეგმები, მიზნები — ყველაფერი დამთავრდა.

**— ეს მხოლოდ ერთი მინი-მატჩია. იქნებ ამგვარ განცდად არც ღირდეს?**

— ეს იყო არა უბრალო, არამედ საბედისწერო მატჩი... დავრჩები მხოლოდ მოყვარულად. თვალს მივადევნებ ყოფილი კოლეგების გამოსვლებს.



**— ამბობენ, რომ ივანჩუკი და ჭადრაკი ურთმანეთოდ ვერ ძლებენო.**

— ეს გამოთქმა სამართლიანია, ოღონდ წარსულ დროში. ახლა ჭადრაკი მე მხოლოდ მკლავს, მანადგურებს. ამ მატჩში დამარცხებას ნორმალურად აღვიქვამდი, მეტოქე რომ უფრო ძლიერი და მომზადებული ყოფილიყო. მაგრამ ის, როგორც მე წავაგე, ეს ბედისწერის ნიშანია, რომელიც მიყვირის: „თავი დაანებე, ვასია, ეს შენი საქმე არ არის". ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემ გარშემო სამყარო დაინგრა, ყველაფერი ჩემ წინააღმდეგაა და გამოსავალს ვერ ვხედავ...

საკმაოდ პესიმისტური ინტერვიუა, მაგრამ ივანჩუკი მართლა შეელევა თუ არა დიდ ასპარეზს, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

მოამზადა
ლექსო ცინცაძემ

**განცხადება**

**სააქციო საზოგადოება „ელვას" სალიკვიდაციო კომისია შესაძლო კრედიტორთა და დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულებული იქნება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი. კრედიტორებს და დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ სს „ელვას" სალიკვიდაციო კომისიას წერილობით ან ზეპირად ა. წ. 15 დეკემბრამდე მისამართზე ჯიქიას ქ. №5.**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## დღის კალენდარი

**28 ნოემბერი**

**25-ე შვიდეული სულთმოფენობი-დან. პარასკევი.**

ხსენება მოწამეთა გური, სამონა (299-306წ) და აბიბო (322წ) აღმსარებელთა; მოწამეთა ელპიტისა, მარკელისა და ევსტიქისა (IVწ); მოწამე დიმიტრისა (397წ).



ამოდის 07.05
ჩადის 16.31



ამოდის 03.25
ჩადის 14.27

### დაიბადნენ:

**1803 – პროსპერ მერიმე,** ფრანგი მწერალი.
**1813 – ივანე ბართოლომეი,** რუსი არქეოლოგი და ნუმიზმატი. ერთხანს მოღვაწეობდა საქართველოში. გარდაიცვალა 1870 წელს.
**1821 – ნიკოლაი ნეკრასოვი,** რუსი პოეტი, გარდაიცვალა 1877 წელს.
**1880 – ალექსანდრ ბლოკი,** რუსი პოეტი, გარდაიცვალა 1921 წელს.
**1881 – შტეფან ცვაიგი,** ცნობილი ავსტრიელი მწერალი, გარდაიცვალა 1942 წელს.
**1886 – გიორგი მუხაძე,** სამშენებლო მექანიკის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1963 წელს.
**1898 – უშანგი ჩხეიძე,** ცნობილი მსახიობი, გარდაიცვალა 1953 წელს.
**1907 – ალბერტო მორავია,** იტალიელი მწერალი, გარდაიცვალა 1990 წელს.
**1910 – დიმიტრი ბენაშვილი,** ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1982 წელს.
**1920 – ოთარ ჩხეიძე,** გამოჩენილი მწერალი.
**1926 – მალხაზ აბდუშელიშვილი,** ქართული ანთროპოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1998 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1859 – ვაშინგტონ ირვინგი,** ამერიკელი მწერალი.
**1939 – ჯეიმს ნეისმიტი,** ამერიკელი ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელმაც 1891 წელს გამოიგონა კალათბურთი.
**1954 – ენრიკო ფერმი,** იტალიელი ფიზიკოსი, 1938 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1520 წელი** – პორტუგალიელმა მეზღვაურმა ფერნან მაგელანმა მიაღწია წყნარ ოკეანეს.
**1660 წელი** – ლონდონში დაარსდა სამეფო საზოგადოება.
**1917 წელი** – შეიქმნა ამიერკავკასიის მმართველობითი ორგანო.
**1919 წელი** – ინგლისის პარლამენტში პირველად აირჩიეს ქალი – ლედი ასტორი.
**1943 წელი** – თეირანში დაიწყო სამი მოკავშირე სახელმწიფოს საბჭოთა კავშირის (სტალინიძ, ამერიკის (რუზველტიძ და დიდი ბრიტანეთის (ჩერჩილიძ ლიდერთა კონფერენცია.
**1964 წელი** – პლანეტა მარსისკენ გაუშვეს ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგური „მარინერ-4“, რომელმაც გადმოსცა პლანეტის 21 გამოსახულება.
**1990 წელი** – მარგარეტ ტეთჩერმა დატოვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ახალ პრემიერ-მინისტრად ჯონ მეიჯორი აირჩიეს.

**ღირსსახსოვარი დღე:**
**ალბანეთი** – დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

## დედოფლისწყარო

### მწიგნობართა ასოციაციის არჩევნები

**ამ დღეებში დედოფლისწყაროს რაიონული საბიბლიოთეკო გაერთიანების სამკითხველო დარბაზში გაიმართა ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის შეკრება.**

წიგნისა და ქართული საზოგადოების ურთიერთობაზე, დღევანდელობის პრობლემებზე მოხსენებით გამოვიდა დედოფლისწყაროს რაიონული საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი მანანა მაჭარაშვილი.

შეკრებას ესწრებოდნენ ასოციაციის წევრები, მასმედიის წარმომადგენლები, ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

გაიმართა ი. ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის ხელმძღვანელთა არჩევნები. საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი ვანო ნატროშვილი, პასუხისმგებელ მდივნად ბიზნესმენი მზია სეხნიაშვილი.

### დააჯილდოვეს პროფესიონალები

**დედოფლისწყაროში დარგობრივი პროფკავშირების თაოსნობითა და ორგანიზებით გაიმართა შრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. სპეციალურმა ჟიურიმ შეაჯამა და საზოგადოებას წარუდგინა 2009 წლის პროფესიონალები.**

ჟიურის თავმჯდომარემ გოდერძი გონაშვილმა სიგელებით დააჯილდოვა როზიზონ იაკობიშვილი, როზიზონ ნატროშვილი, გოჩა ლათიბაშვილი, თენგიზ ღორაშვილი, ტატიანა ბულულაშვილი, ციცო ლათიბაშვილი, კარდინალ ბაღაშვილი, დავით ტოკლიკიშვილი, სპარტაკ ლაპიაშვილი და ამირან ქისტაური.

ღონისძიება დაამშვენა ფოკლორულმა საღამომ, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ჩოხოსანმა ძმებმა გიორგი და ოთარ სისაურებმა.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

## ინფორმაცია

### დააკავეს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქობულეთის სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ჯემალ გოგმაჩაძე დააკავეს.

შსს-ის ინფორმაციით, გოგმაჩაძემ ხე-ტყის მასალის გაცილებისა და მოსალოდნელი პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ მოქალაქისგან 150 ლარის ოდენობით ქრთამი აიღო.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს.

მოქმედი კანონმდებლობა ხსენებული დანაშაულის ჩადენისათვის 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

### კამბოჯის ტანკერი 65 000 ლარით დააჯარიმეს

**კამბოჯის** დროშის ქვეშ მცურავი ტანკერის ეკიპაჟმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად ჯარიმა 65 000 ლარი გადაიხადა და გარემოზე მიყენებული ზიანი 1 155 ლარი აანაზღაურა.

შეგახსენებთ, რომ საგამოძიებო-ოპერატიული სამსახურის და შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის ფოთის განყოფილების თანამშრომლების მიერ ერთობლივად გატარებული ღონისძიების შედეგად, ზღვის დაბინძურების ფაქტზე, კამბოჯის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი 25 ნოემბერს დააკავეს.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

2009 წლის 11 დეკემბერს 17 საათზე ქ. თბილისში აბუსერიძე-ტბელის ქ. №13-ში, გამოცხადდება აუქციონი შპს „იოლიტა აგროს“ ქონების გასაყიდად.

ქონების ჩამონათვალი:

100 ჰა მიწის ნაკვეთი სენაკის რ-ნი (სოფელი თეკლათიძ;
97 ჰა მიწის ნაკვეთი ხობის რ-ნი;
კონსერვების ნახევარფაბრიკატი;
ქონება გაიყიდება ერთ ლოტად, ქონების საწყისი ღირებულებაა 360 000 ლარი;
აუქციონის ბიჯი 10 000 ლარი. აუქციონის მონაწილეობის ბე – 36 000 ლარი;
მონაწილეობის განცხადება მიიღება ქ. თბილისში აბუსერიძე-ტბელის ქ. №13-ში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე.
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
+995 99 55 23 44; +995 77 95 95 31.

შპს „მშენებელი-80“-ის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ წიკლაურს
შვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი
იური გეგელაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

ქათმის გრიპი იყო, ღორის გრიპი მოვიდა... ხალხო! თევზის სურდო გვიახლოვდება! უფრთხილდით!

* * *

– გინდა, უხამსი ანეკდოტი მოგიყვე? – ეკითხება მიხო მაროს.
– მინდა!
– მაშინ გაიხადე, ამის ჩვენებაცაა საჭირო.

* * *

– ერთი რამ მაინტერესებს, შენ ხომ ერკვევი ფოტოგრაფიაში და გეცოდინება...
– აბა, მითხარი.
– რატომ არის, რომ ობიექტივი მრგვალია, ფოტოსურათები კი მართკუთხედი გამოდის?



* * *

– ერთი გადადი თედო პაპასთან და მარილი სთხოვე! – ეუბნება მიხო შვილს.
– ხომ იცი, არ მომცემს!
– შენც მის ვაშლის ხეზე აცოცდი!

* * *

– თუ ქალი „არას“ ამბობს, ეს ნიშნავს, რომ იგი იფიქრებს. თუ ქალი ამბობს „შეიძლებაო“, ეს ნიშნავს – ცოტა მოგვიანებითო. თუ ქალი გეტყვის „კიო“, ეს ნიშნავს, მმაჩის ბიუროში წავიდეთო. თუ ქალი ამბობს „დიახ“, ეს ნიშნავს, რომ ის უკვე თქვენი ცოლია. თუ ქალი ამბობს „ოი“, ეს ნიშნავს, რომ მას უყვარხართ. თუ ქალი...
– მაპატიეთ, ქალბატონო, ქალი ოდესმე დუმს?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.